186
1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6

ნოემბერი — დეკემბერი

1982 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 6 ნოემბერი—დეკემბერი 1982 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

74. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 19 აგვისტოს № 766 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

75. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 7 სექტემბრის № 828 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

76. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსთან ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების დებულების დამტკიცების შესახებ.

77. რესპუბლიკის სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ბიბლიოთეკარების კომუნალური მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

ქ. მარქსის სახ. ს.ს.ბ. სსრ
საკავშირო ... ბიბლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

78. ზოგიერთი რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებასთან ექსპერიმენტული წესით სამეურნეო-საექსპლუატაციო კანტორის შექმნის შესახებ.

79. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიის კათედრასთან არსებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მეორეული ნარჩენების გადამუშავების ბიოტექნოლოგიური ლაბორატორიის მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების ახალი სისტემის შემოსაღებად ექსპერიმენტის განხორციელების შესახებ.

80. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფილის შეცვლის შესახებ.

81. საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ.

82. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 16 აგვისტოს № 531 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ.

83. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 7 ივნისის № 501 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 27 სექტემბრის № 620 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

84. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მავნებელ მტაცებელ ნადირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

74 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 19 აგვისტოს № 766 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„საბინაო-სამშენებლო კოოპერაციის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 19 აგვისტოს № 766 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. „საქართველოს სს რესპუბლიკაში ინდივიდუალური და კოოპერაციული საბინაო მშენებლობის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 ივლისის № 531 დადგენილების 1-ლი, მე-2, მე-3 პუნქტები, მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, მე-5 პუნქტი, მე-7, მე-8, მე-9 პუნქტები, აგრეთვე მე-6 პუნქტი, იმ ვარაუდით, რომ შენარჩუნებულ იქნეს მისი მოქმედება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 31 ივლისის № 639 დადგენილებით გათვალისწინებული საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად კოლმეურნეობებისათვის კრედიტის მიცემის წესის ნაწილში.

2. „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების, მისი დაცვა-შენახვის გაუმჯობესების, მექანიზატორთა კადრებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უზრუნველყოფის და სოფლის მეურნეობაში მათი შენარჩუნების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 29 ნოემბრის № 820 დადგენილების 24-ე პუნქტი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 16 ნოემბერი, № 762.

75 **სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 7 სექტემბრის № 828 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ**

საწარმოთა, გაერთიანებათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 7 სექტემბრის № 828 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— 1-ლი პუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 მარტის № 183 დადგენილებისა „გახანგრძლივებულდღიანი სკოლების მოწყობის შესახებ";

— მე-8 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 1 ავგისტოს № 486 დადგენილებისა „რესპუბლიკაში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის გაუმჯობესების ზომების შესახებ".

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 7 სექტემბრის № 828 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა მე-18 პუნქტის მესამე აბზაცი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 3 სექტემბრის № 729 დადგენილებისა „ჩვენს ქვეყანაში სპეციალისტთა მომზადების გაუმჯობესებისა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებისადმი ხელმძღვანელობის სრულყოფის ზომების შესახებ", რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 ნოემბრის № 638 დადგენილებით.

საქართველოს კპ	საქართველოს სსრ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი	მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე.	**დ. ჭართველიშვილი**

ქ. თბილისი, 1982 წ. 30 ნოემბერი, № 798.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

76 საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 9 ივნისის № 412 დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 20 ნოემბერი. № 729.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1982 წლის 2 ნოემბრის № 729 დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების შესახებ

ეს დებულება საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების შესახებ შემუშავებულია სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს მიერ 1979 წლის 6 ივნისს დამტკიცებული სრულიად საკავშირო და რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანებების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მმართველობის მუშაკთა პრემირების წესის ტიპობრივი დებულების და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 9 ივნისის № 412 დადგენილების შესაბამისად.

დებულება პრემირების შესახებ შემოღებულია იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს აპარატის მუშაკთა მატერიალური დაინტერესება წარმოების შემდგომი განვითარებითა და სრულყოფით, სახალხო მოხმარების საქონელზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილებით, შრომის ნაყოფიერების ზრდით, ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებითა და მისი თვითღირებულების შემცირებით, მატერიალური, შრომითი და ფინანსური დანახარჯების ეკონომიით.

I. პრემირების მაჩვენებლები და პირობები

1. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს აპარატის ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს პრემიები მიეცემათ სამინისტროს მიერ პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და მოგების გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ახალი ტექნიკის შექმნის, ათვისებისა და წარმოებაში დანერგვის, უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის (ხორცი და პირველი კატეგორიის სუბპროდუქტები, ძეხვეული, მოუხდელი რძის პროდუქცია, ერბო-კარაქი, ცხიმიანი ყველი) გამოშვების სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის, № 1 დანართის თანახმად.

პრემირების ძირითადი მაჩვენებლებისა და პირობების შესრულება აღირიცხება მზარდი შედეგით წლის დამდეგიდან. იმ შემთხვევაში, თუ პრემირების ძირითადი მაჩვენებლები და პირობები მზარდი შედეგით წლის დამდეგიდან არ შესრულდება, საანგარიშო კვარტალში ამ მაჩვენებლებისა და პირობების შესრულებისათვის აღნიშნულ მუშაკებს შეიძლება მიეცეთ პრემიები საანგარიშო კვარტალის შედეგების მიხედვით გასაცემად დარიცხული პრემიის არა უმეტეს 50 პროცენტის ოდენობით.

2. № 1 დანართში ჩამოთვლილი ერთ-ერთი მაჩვენებლის მიხედვით დავალებათა შეუსრულებლობისას პრემია არ გაიცემა.

როგორც გამონაკლისი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეუძლია სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსთან შეთანხმებით გადაწყვიტოს საანგარიშო კვარტალში სახალხო-სამეურნეო გეგმის ნომენკლატურის პროდუქციის ცალკეულ სახეობათა მიხედვით დავალებათა შეუსრულებლობის შემთხვევებში სამინისტროს მუშაკთა პრემირების საკითხი, თუ ამ სახეობათა ნომენკლატურის პროდუქცია დამზადებული და რეალიზებულია წინა პერიოდში ან მოხსნილია წარმოებიდან მომხმარებლის (შემკვეთის) მოთხოვნით, რაც დადასტურებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ამ დებულების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პრემირების ძირითადი პირობების გარდა, სამინისტროს აპარატის ხელმძღვანელ მუშაკთათვის წესდება პრემირების დამატებითი პირობები, № 2 დანართის თანახმად, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში პრემიები შემცირდება ამ პირობების შესრულების დონის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს 50 პროცენტისა.

4. სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირებისას მხედველობაში მიიღება რეალიზაციის გეგმის შესრულება დადებული ხელშეკრულებებისა და სავაჭრო ორგანიზაციათა შეკვეთა-განრიგების შესაბამისად განსაზღვრული ოდენობით, ვადებში და ნომენკლატურით (ასორტიმენტით) პროდუქციის მიწოდების ვალდებულებათა გათვალისწინებით. პროდუქციის მიწოდების აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობისას სამინისტროს აპარატის მუშაკებს პრემიები უმცირდებათ № 3 დანართის თანახმად გათვალისწინებული ოდენობით.

5. გეგმების შესრულების ფაქტიურ დონემდე შემცირების მხრივ მათი კორექტირებისას სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკებს ჩამოერთმევათ პრემიები სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის მთლიანად ან ნაწილობრივ, მაგრამ არანაკლებ 50 პროცენტისა.

ნედლეულის შესყიდვის მოცულობის შემცირებასთან, აგრეთვე მზა ნაწარმის გატანაზე სავაჭრო ორგანიზაციების უართან დაკავშირებით ზემდგომი ორგანიზაციების მიერ დადგენილი წესით პროდუქციის წარმოების გეგმების დაზუსტებისას ხელმძღვანელ მუშაკებს პრემიების ოდენობა არ უმცირდებათ.

II. პრემირების წყაროები და პრემიების ოდენობა

6. სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირება ხორციელდება სამინისტროს მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდიდან, რომელიც იქმნება სამინისტროს მატერიალური წახალისების საერთო ფონდის ფარგლებში. აღნიშნულ მუშაკთა პრემირებისათვის მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდიდან გამოსაყოფი სახსრების ოდენობა განისაზღვრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ნორმატივების მიხედვით.

7. თუ საშუალო ხელფასის ზრდა უსწრებს შრომის ნაყოფიერების ზრდას, სამინისტროს აპარატის მუშაკთათვის დარიცხული პრემიების თანხა (სარგოს პროცენტულად) მცირდება 1 პროცენტით წინსწრების ყოველ პროცენტში.

8. ამ დებულების თანახმად პრემირების პირობებით გათვალისწინებული მაჩვენებლების მიხედვით გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სამინისტროს მუშაკებს პრემიების ოდენობა უწესდებათ ყოველწლიურად იმ სახსრების ფარგლებში, რომლებიც გამოყოფილია აღნიშნულ მუშაკთა პრემირებისათვის მოცემულ წელს.

9. კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთათვის დარიცხული პრემიები მცირდება 1 პროცენტით ყოველი საქვეუწყებო საწარმოსათვის, რომელსაც არ შეუსრულებია მისთვის დაწესე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული ძირითადი საგეგმო დავალებანი (პროდუქციის რეალიზაციის მოცულობისა, მოგებისა, შრომის ნაყოფიერებისა).

ასეთივე წესით მინისტრს შეუძლია შეუმციროს პრემიები სამინისტროს აპარატის შესაბამის მუშაკებს, რომელთაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა საწარმოების მიერ მათთვის დაწესებულ საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის.

10. მთლიანად სამინისტროს ხაზით ხელფასის ფონდის გადახარჯვისას სამინისტროს ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე განყოფილებათა ხელმძღვანელებისა და ხელფასის ფონდის ხარჯვისათვის პასუხისმგებელი მუშაკებისათვის დარიცხული პრემიები არ გაიცემა. ამასთან სამინისტროს ხაზით ხელფასის ფონდის გადახარჯვა გამოიანგარიშება როგორც ყველა საქვეუწყებო საწარმოსა და ორგანიზაციის მიხედვით ამ ფონდის შედარებითი გადახარჯვის თანხა.

თუ სამინისტროს ხაზით დაშვებული ხელფასის ფონდის გადახარჯვა ანაზღაურდება 6 თვემდე ვადაში, აღნიშნულ მუშაკებს მიეცემათ 50 პროცენტი პრემიისა, რომელიც დარიცხული იყო, მაგრამ არ გაცემულა ხელფასის ფონდის გადახარჯვასთან დაკავშირებით.

იმ შემთხვევაში, როცა სამინისტრომ საანგარიშო პერიოდში დაუშვა ხელფასის ფონდის გადახარჯვა, მაგრამ კალენდარული წლის დაწყებიდან გასულ პერიოდში აქვს საკმარისი ეკონომია ხელფასის ფონდის დაშვებული გადახარჯვის დასაფარავად, სამინისტროს აღნიშნულ მუშაკებს დარიცხული პრემიები მიეცემათ სრული ოდენობით.

11. სამინისტროს აპარატის მუშაკთა პრემირება ხდება ყოველ კვარტალში მუშაობის შედეგების მიხედვით ამ პერიოდში გასაცემად დარიცხული პრემიის 75 პროცენტის ოდენობით. პრემიის დანარჩენი 25 პროცენტი გაიცემა სრული ოდენობით სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით იმ პირობით, თუ მთლიანად წლის განმავლობაში შესრულდება ამ დებულებით გათვალისწინებული პრემირების პირობები. ცალკეული ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით დავალებათა შეუსრულებლობისას პრემია, რომლიც უნდა გაიცეს წლის შედეგების მიხედვით, შემცირდება 50 პროცენტამდე.

12. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკები შეიძლება პრემირებულ იქნენ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის. ამასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებათა შესრულებისათვის პრემიების ოდენობა ერთ მუშაკზე არ შეიძლება აღემატებოდეს ერთი თვის თანამდებობრივ სარგოს წელიწადში, აღნიშნული მიზნებისათვის ხელფასის საერთო ფონდის არა უმეტეს 0,5 პროცენტის ხარჯვის გათვალისწინებით.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს შეუძლია მისცეს ერთდროული პრემიები (წელიწადში ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით) სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებს, რომლე-

ბიც უზრუნველყოფენ საქვეუწყებო საწარმოებში შრეკინოელთა მუშაობის მეთოდების წარმატებით დანერგვას, რის შედეგადაც მიღწეულ იქნა პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსება, მომსახურების ზონების გაფართოება ან შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობის გადიდება.

13. ამ დებულების შესაბამისად ერთი მუშაკისათვის მიცემული პრემიების საერთო თანხა, სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით კუთვნილი პრემიების გარდა, არ უნდა აღემატებოდეს ოთხი თვის თანამდებობრივ სარგოს წელიწადში.

14. სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთათვის პრემიების დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგების მონაცემები, აგრეთვე ოპერატიული აღრიცხვის მონაცემები.

15. მუშაკებს პრემიები დაერიცხებათ ფაქტიურად ნამუშევარი დროისათვის, თანამდებობრივი სარგოდან გამომდინარე.

16. მუშაკებს, რომლებმაც იმუშავეს არასრული კვარტალი საბჭოთა არმიის რიგებში გაწვევასთან, სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან, სასწავლებელში ჩარიცხვასთან, პენსიაზე გადასვლასთან, შტატების შემცირების და სხვა საპატიო მიზეზების გამო დათხოვნასთან დაკავშირებით, პრემიები დაერიცხებათ ფაქტიურად ნამუშევარი დროისათვის.

17. პრემიებს კვარტალში სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგებისათვის დაამტკიცებენ:

ა) საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელობისათვის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სამინისტროს მიერ წარდგენილი და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან შეთანხმებული გაანგარიშებული დოკუმენტაციების მიხედვით;

ბ) სამინისტროს აპარატის დანარჩენი მუშაკებისათვის — საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრი პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემიებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებათა შესრულებისა და შრეკინოელთა მეთოდის წარმატებით დანერგვისათვის დაამტკიცებს მინისტრი.

18. მინისტრს პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით შეუძლია მუშაობის ხარისხისა და მუშაკის პირადი წვლილის გათვალისწინებით გაადიდოს ან შეამციროს მისთვის დარიცხული პრემია, მაგრამ არა უმეტეს 25 პროცენტისა.

მუშაობაში არსებული ხარვეზებისათვის სამინისტროს თითოეულ მუშაკს შეიძლება ჩამოერთვას პრემია მთლიანად ან ნაწილობრივ, რაც ფორმდება მინისტრის შესაბამისი ბრძანებით ან განკარგულებით.

სამინისტროს ხელმძღვანელობისათვის პრემიის ოდენობის ასეთივე გადიდება (შემცირება) ან პრემიის ჩამორთმევა ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკეულ მუშაკებს შეიძლება ჩამოერთვათ პრემიები ანგარიშგებებისა და ტებისა და მახინჯებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს 1975 წლის 8 აგვისტოს № 13/19 განმარტება).

19. პრემირების პირობებით გათვალისწინებულ საგეგმო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ამ დებულების შესაბამისად გაცემული პრემიები მხედველობაში მიიღება მომუშავის საშუალო ხელფასის გამოანგარიშებისას.

20. ამ დებულებით გათვალისწინებული პრემიების გარდა საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებს შეიძლება მიეცეთ პრემიები გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის, საზღვარგარეთ გასაყიდად საბჭოთა გამოგონებებისა და სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების ლიცენზიების დასაპატენტებლად და მოსამზადებლად მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 2 ნოემბრის № 729 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების დებულების დანართი № 1

ოდენობა

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემიებისა

პრემირების მაჩვენებლები	პრემიების ოდენობა (თანამდებობრივი სარგოების პროცენტულად)
წლის დამდეგიდან მზარდი შედეგით კვარტალური გეგმების შესრულებისათვის:	
— პროდუქციის რეალიზაციისა	
— შრომის ნაყოფიერების ზრდისა	
— მოგების საერთო თანხისა	
— ახალი ტექნიკის შექმნისა, ათვისებისა და დანერგვისა	10
— უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის (ხორცი და პირველი კატეგორიის სუბპროდუქტები, ძეხვეული, მოუხდელი რძის პროდუქცია, ერბო-კარაქი, ცხიმიანი ყველი) წარმოებისა.	
გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველი პროცენტისათვის:	
— შრომის ნაყოფიერების ზრდისა	0,2
— მოგების ზრდისა	0,4
— პროდუქციის რეალიზაციის ზრდისა	0,3
— წარმოების მოცულობის ზრდისა	0,3

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 2 ნოემბრის № 729 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების დებულების დანართი № 2

პრემირების დამატებითი პირობები, რომელთა შეუსრულებლობისას შეუმცირდებათ პრემიების ოდენობა საქართველოს სსრ ხორიცსა და რძის მრეწველობის სამინისტროს აპარატის ხელმძღვანელ მუშაკებს

თანამდებობის დასახელება	პრემირების მაჩვენებლებისა და პირობების დასახელება
მინისტრი	პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმის შესრულება
მინისტრის პირველი მოადგილე	პირუტყვის შესყიდვის გეგმის შესრულება, ჯეროვანი სანიტარიულ-ვეტერინარული მდგომარეობა კურირებული დარგის (ხორცის) საწარმოებში
მინისტრის მოადგილე	კაპიტალურ დაბანდებათა და დაწესებულ ვადებში საწარმოო ფონდების ამოქმედების გეგმის შესრულება, სათბობის, ელექტრო-ენერგიისა და თბოენერგიის ეკონომიის დავალებათა შესრულება
მინისტრის მოადგილე	რძის შესყიდვის გეგმის შესრულება, ჯეროვანი სანიტარიულ-ვეტერინარული მდგომარეობა კურირებული დარგის (რძის) საწარმოებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 2 ნოემბრის № 729 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა პრემირების დებულების დანართი № 3

ს კ ა ლ ა

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთათვის დარიცხული პრემიების შემცირებისა პროდუქციის მიწოდების დავალებათა და ვალდებულებათა შესრულების გათვალისწინებით პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შეუსრულებლობისათვის

პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შეუსრულებლობა მიწოდების დავალებათა და ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების გათვალისწინებით (პროცენტი)	შემცირების სკალა (პროცენტი)
0,5-მდე	5
0,6-დან 1,0-მდე	10
1,0-ზე მეტრი 2,0-მდე	20
2,0-ზე მეტი 3,0-მდე	40
3,0-ზე მეტი 5,0-მდე	75
5,0-ზე მეტი	100

77 რესპუბლიკის სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ბიბლიოთეკარების კომუნალური მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის შუამდგომლობა და რესპუბლიკის სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პენსიაზე გადასულ ბიბლიოთეკარებზე და მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრებზე გავრცელდეს 1983 წლის 1 იანვრიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 10 ნოემბრის № 981 დადგენილების მე-13 პუნქტით დაწესებული უფასო ბინით, გათბობითა და განათებით უზრუნველყოფის შეღავათები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 3 დეკემბერი, № 768.

78 ზოგიერთი რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილებასთან ექსპერიმენტის წესით სამეურნეო-საექსპლუატაციო კანტორის შექმნის შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ბავშვთა სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების საფინანსო-სამეურნეო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისა და გამოყოფილ ფინანსურ და მატერიალურ საშუალებათა რაციონალურად გამოყენების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. 1983 წლის 1 იანვრიდან ტყიბულის, რუსთავის, ფოთის საქალაქო, გორის, ვანის, ზუგდიდისა და გარდაბნის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების სახალხო განათლების განყოფილებებთან ექსპერიმენტის წესით შეიქმნას დამოუკიდებელ ანგარიშზე მყოფი სამეურნეო-საექსპლუატაციო კანტორები ამ ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტებით სახალხო განათლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღონისძიებებისათვის დამტკიცებულ მუშაკთა რიცხოვნობის, ხელფასის ფონდისა და მმართველობის აპარატის შესანახი ხარჯების ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით გაითვალისწინოს ხარჯების მოცულობა ცალკეული რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების ღონისძიებებისათვის, მათ ტერიტორიაზე განლაგებულ მოსამსახურებელ დაწესებულებათა რაოდენობა და ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს ახლად შექმნილი სამეურნეო-საექსპლუატაციო კანტორების საშტატო განრიგი.

2. დამტკიცდეს რაიონის (ქალაქის) სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების ექსპერიმენტის წესით შექმნილი სამეურნეო-საექსპლუატაციო კანტორის თანდართული სანიმუშო დებულება.

3. სახალხო განათლების დაწესებულებათა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით სამეურნეო-საექსპლუატაციო კანტორების შექმნასთან დაკავშირებით დაევალოთ ტყიბულის, რუსთავის, ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და გორის, ვანის, ზუგდიდისა და გარდაბნის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად 1982 წლის დამლევამდე გამოყონ საჭირო შენობა-ნაგებობანი, სატრანსპორტო საშუალებანი და დააკომპლექტონ სამეურნეო-საექსპლუატაციო კანტორები კვალიფიციური კადრებით.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ ფოთის, რუსთავის, ტყიბულის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და გორის, ვანის, ზუგდიდისა და გარდაბნის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ერთად 1982 წლის დამლევისათვის უზრუნველყოს სახალხო განათლების ყველა დაწესებულების საბუღალტრო აღრიცხვის ცენტრალიზაცია სამეურნეო-საექსპლუატაციო კანტორებთან შექმნილ ცენტრალიზებულ ბუღალტერიებში,

5. საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებანი ახლად შექმნილ სამეურნეო-საექსპლუატაციო კანტორებში საბუღალტრო აღრიცხვის მექანიზაციის დასანერგავად.

6. საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინოს საანგარიშო-გამომთვლელი მანქანების გამოყოფა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ წარდგენილი განაცხადების შესაბამისად.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1983-1984 წლების გეგმების პროექტების შედგენის დროს განიხილოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ახლად შექმნილი სამეურნეო-საექსპლუატაციო კანტორებისათვის სპეციალური დანიშნულების სატვირთო ავტომობილებისა და მათ შესანახად საჭირო ლიმიტის გამოყოფის საკითხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ 1985 წლის დამლევამდე წარმოუდგინოს საქართველოს სრ მინისტრთა საბჭოს მოხსენებითი ბარათი აღნიშნული ექსპერიმენტის შედეგების შესახებ.

9. იმასთან დაკავშირებით, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების რაიონულ (საქალაქო) განყოფილებებთან ექსპერიმენტის წესით შეიქმნა სამეურნეო-საექსპლუატაციო კანტორები, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მიმდინარე წლის დამლევამდე მოამზადოს წინადადებანი სათანადო ცვლილებათა შეტანის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 5 ივლისის № 482 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების ტიპობრივ შტატებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 6 დეკემბერი, № 778.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 6 დეკემბრის № 778 დადგენილებით

სანიმუშო დებულება

სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების რაიონულ (საქალაქო) განყოფილებასთან შექმნილ სამეურნეო-საექსპლუატაციო კანტორის შესახებ

1. სამეურნეო-საექსპლუატაციო კანტორა შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ბავშვთა სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების საფინანსო-სამეურნეო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისა და გამოყოფილ ფინანსურ და მატერიალურ საშუალებათა უფრო რაციონალურად, ეფექტიანად გამოყენების უზრუნველსაყოფად.

2. სამეურნეო-საექსპლუატაციო კანტორა თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართვე-

ლოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროების გადაწყვეტილებებით, ბრძანებებით, ინსტრუქციებით, მითითებებით, სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებებითა და განკარგულებებით, აგრეთვე ამ დებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

სამეურნეო-საექსპლუატაციო კანტორა საბიუჯეტო დაწესებულებაა; იგი უშუალოდ ექვემდებარება სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილებას, აქვს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორაში ცალკე მიმდინარე ანგარიში და ადგენს დამოუკიდებელ საბუღალტრო ბალანსს დადგენილი წესის მიხედვით;

სამეურნეო-საექსპლუატაციო კანტორა ადგენს ამ დაწესებულების შენახვის ხარჯთაღრიცხვის პროექტს, რომელსაც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან შეთანხმების შემდეგ ამტკიცებს სახალხო განათლების რაიონული (საქალაქო) განყოფილება;

სამეურნეო-საექსპლუატაციო კანტორა სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით და აქვს დადგენილი ნიმუშის მრგვალი ბეჭედი და შტამპი.

3. სამეურნეო-საექსპლუატაციო კანტორა ვალდებულია და უფლება აქვს:

მნიშვნელოვნად განამტკიცოს სკოლების, ბავშვთა სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უზრუნველყოს მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი სახსრების ზუსტი აღრიცხვა და ჯეროვანი კონტროლი დააწესოს მათი სწორი და ეფექტიანი გამოყენებისადმი, მიიღოს განაცხადები სათბობზე, მასალაზე, მოწყობილობაზე, გააფორმოს ხელშეკრულებანი მომწოდებლებთან, განახორციელოს ზედამხედველობა განათლების ობიექტების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის, შენობა-ნაგებობათა სწორი ექსპლუატაციისა და ტექნიკური მდგომარეობის აღრიცხვისადმი, წარუდგინოს დაკვეთები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დასამზადებლად.

4. სამეურნეო-საექსპლუატაციო კანტორას ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო სახალხო განათლების რაიონული (საქალაქო) განყოფილების გამგის წარდგინების საფუძველზე.

5. სამეურნეო-საექსპლუატაციო კანტორის მუშაკების მიღება-გათავისუფლებას ახორციელებს სახალხო განათლების რაიონული (საქალაქო) განყოფილების გამგე კანტორის უფროსის წარდგინების საფუძველზე.

6. სამეურნეო-საექსპლუატაციო კანტორაში გაერთიანებულია სამი სტრუქტურული ქვედანაყოფი:

— შენობათა და ნაგებობათა რემონტისა და ექსპლუატაციის სამსახური.

— სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების, ავეჯისა და მოწყობილობების სამსახური.

— ცენტრალიზებული ბუღალტერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენობათა და ნაგებობათა რემონტისა და ექსპლუატაციის სამსახური

ა) შენობათა და ნაგებობათა რემონტისა და ექსპლუატაციის სამსახური არის სამეურნეო-საექსპლუატაციო კანტორის სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ბ) სამსახურს ხელმძღვანელობს უფროსი ინჟინერი, რომელიც უშუალოდ ემორჩილება სამეურნეო-საექსპლუატაციო კანტორის უფროსს;

გ) შენობათა და ნაგებობათა რემონტისა და ექსპლუატაციის სამსახური ვალდებულია:

— უზრუნველყოს სახალხო განათლების რაიონული (საქალაქო) განყოფილების ბალანსზე რიცხულ შენობათა და ნაგებობათა სწორი ექსპლუატაცია;

— ზედამხედველობა გაუწიოს სახალხო განათლების განყოფილებისადმი დაქვემდებარებული დაწესებულებების შენობა-ნაგებობათა მიმდინარე და კაპიტალური რემონტის სამუშაოთა მომზადებასა და შესრულებას;

— მიიღოს და გეგმაზომიერად გაანაწილოს სახალხო განათლების დაწესებულებათა შორის გამოყოფილი მასალა და ხელსაწყო-მოწყობილობა;

— შეიმუშაოს და განახორციელოს ხანძარსაწინააღმდეგო უშიშროებისა და გარემოს დაცვის ღონისძიებანი.

დ) ამ ამოცანების განსახორციელებლად შენობათა და ნაგებობათა რემონტისა და ექსპლუატაციის სამსახური:

— უზრუნველყოფს სახალხო განათლების რაიონული (საქალაქო) განყოფილების ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების ტექნიკურ აღრიცხვას;

— ადგენს შენობა-ნაგებობათა რემონტის დეფექტურ აქტებს, აფორმებს დაკვეთებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად ობიექტების მიხედვით;

— ატარებს ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზას და ახორციელებს ტექნიკურ ზედამხედველობას სამუშაოთა ხარისხისადმი;

— ადგენს განათლების დაწესებულებათა ობიექტების კაპიტალური მშენებლობის პერსპექტიულ გეგმას, არჩევს ადგილს და ამზადებს მონაცემებს ახალი მშენებლობის დასაპროექტებლად;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოსთან ერთად ახორციელებს კონტროლს განათლების ობიექტების მშენებლობისადმი, მონაწილეობს მათს საექსპლუატაციოდ გადაცემაში;

— სწავლობს, თუ რა მოთხოვნილებაა სარემონტო-საექსპლუატაციო საჭიროების საშენ მასალაზე, მოწყობილობაზე, წარადგენს შესაბამის განაცხადებს, უზრუნველყოფს გამოყოფილი ფონდების სრულ ათვისებას და დროულად უნაწილებს ელექტროენერგიის ლიმიტს ყველა დაქვემდებარებულ დაწესებულებას;

— ორგანიზაციას უწევს შავი და ფერადი ლითონების მეორეული ნედლეულის დამზადებას, შენახვას და აღრიცხვას, უდგენს ზემდგომ ორგანოებს სათანადო ანგარიშებს ამ საკითხებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების, ავეჯისა და მოწყობილობის სამსახური

ა) სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების, ავეჯისა და მოწყობილობის სამსახური არის სამეურნეო-საექსპლუატაციო კანტორის სტრუქტურული ქვედანაყოფი:

ბ) სამსახურს ხელმძღვანელობს სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების, ავეჯისა და მოწყობილობის უფროსი ინჟინერი, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება კანტორის უფროსს;

გ) სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების, ავეჯისა და მოწყობილობის სამსახური ვალდებულია:

— უზრუნველყოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებები სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღით, სასწავლო და სხვა მოწყობილობით, ავეჯით, რბილი და მაგარი ინვენტარით, ტრანსპორტით, საწვავ-საპოხი მასალით და სხვა;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოსთან ერთად მოამარაგოს კაპიტალური მშენებლობის ობიექტები დასამონტაჟებელი ელექტროტექნიკური, სათბობი, სავენტილაციო და ტექნოლოგიური მოწყობილობით;

დ) ამ ამოცანის რეალიზაციისათვის სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების, ავეჯისა და მოწყობილობის სამსახური:

— აზუსტებს თუ როგორია მოთხოვნილება სკოლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებებისათვის საჭირო სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღზე, ავეჯზე, მოწყობილობაზე, რბილ და მაგარ ინვენტარზე, წარადგენს განაცხადებს, ახორციელებს ღონისძიებებს ფონდების მისაღებად და გეგმიანად გასანაწილებლად;

— ატარებს სკოლებსა და განათლების სხვა დაწესებულებებში სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღის, ავეჯისა და მოწყობილობის, აგრეთვე სხვა ინვენტარის აღწერებს, ამოწმებს დაქვემდებარებული დაწესებულებების განაცხადთა უტყუარობას, თუ რამდენად შეესაბამება განაცხადებს სკოლების, სკოლისგარეშე და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მოთხოვნილებანი ამ მასალაზე, ღებულობს ზომებს ჭარბი ინვენტარისა და მოწყობილობის სხვა დაწესებულებებისათვის გადასანაწილებლად;

— სასწავლო-თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების, ავეჯისა და მოწყობილობის სამსახური სახალხო განათლების რაიონული (საქალაქო) განყოფილების ინსპექტორებთან და მეთოდისტებთან ერთად ადგენს პერსპექტიულ გეგმას განათლების დაწესებულებების სასწავლო თვალსაჩინოებით, ავეჯითა და სასწავლო მოწყობილობით მოსამარაგებლად;

— ამყარებს კონტროლს გამოყოფილი რბილი და მაგარი ინვენტარის ადგილზე დროულად მიტანასა, მის სწორად შენახვასა და რაციონალურად გამოყენებისადმი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კონტროლს უწევს თუ რამდენად ზუსტად აქვთ ადგილებზე მოწვეული ბული დაზიანებული მხატვრული ლიტერატურისა და სახელმძღვანელოების აღრიცხვა, დადგენილი წესის მიხედვით ახორციელებს ინვენტარისა და სხვა მასალის რემონტს, აუცილებლობის შემთხვევაში კი — ჩამოწერას;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კაპიტალური მშენებლობის მთავარ სამმართველოსთან ერთად უზრუნველყოფს კაპიტალური მშენებლობის ობიექტებისათვის გამოყოფილი მოწყობილობის დროულად მიღებასა და გადაცემას დასამონტაჟებლად.

ცენტრალიზებული ბუღალტერია

ა) ცენტრალიზებული ბუღალტერია არის სამეურნეო-საექსპლუატაციო კანტორის სტრუქტურული ქვედანაყოფი;

ბ) ცენტრალიზებულ ბუღალტერიას ხელმძღვანელობს მთავარი ბუღალტერი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო სახალხო განათლების რაიონული (საქალაქო) განყოფილების გამგის წარდგინებით;

გ) ცენტრალიზებული ბუღალტერია არის საბიუჯეტო დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვების შესრულების საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციის ფორმა და მოწოდებულია უზრუნველყოს საბუღალტრო აღრიცხვის შემდგომი სრულყოფა საბიუჯეტო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში აღრიცხვის სამუშაოთა ცენტრალიზაციის, გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების, აღრიცხვის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვისა და კონტროლის გაძლიერების საფუძველზე;

დ) ცენტრალიზებული ბუღალტერია ვალდებულია:

— აწარმოოს საბიუჯეტო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხარჯთაღრიცხვების შესრულების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება;

— დააწესოს კონტროლი თუ რამდენად სწორად და ეფექტიანად ხარჯავენ სახსრებს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით გათვალისწინებულ ასიგნებებსა და მასში დაწესებული წესით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად:

— უზრუნველყოს დაქვემდებარებულ დაწესებულებებში ფულადი სახსრების სწორად და ეკონომიურად ხარჯვა, ძირითად საშუალებათა მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების, მასალის, კვების პროდუქტებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა დაცვა და სწორად გამოყენება;

— შეამოწმოს დოკუმენტაცია და დაადგინოს რამდენად კანონიერი და დროულია შესასრულებელი ოპერაციები, სწორად არის თუ არა გაფორმებული დოკუმენტაცია;

— აღრიცხოს სპეციალური სახსრებისა და სხვა არასაბიუჯეტო სახსრების შემოსავალ-გასავლის ოპერაციები;

— დროულად დაარიცხოს და გასცეს ხელფასები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თავის დროზე მოახდინოს საწარმო-დაწესებულებებთან და კერძო პირებთან ხარჯთაღრიცხვების შესრულების ოპერაციებით წარმოქმნილი ანგარიშსწორება;

— მონაწილეობა მიიღოს ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციაში: დროულად და სწორად გააანალიზოს ინვენტარიზაციის შედეგები და ასახოს ანგარიშებში;

— გაუწიოს ინსტრუქტაჟი აღრიცხვის მუშაკებს, მატერიალურად პასუხისმგებელ და სხვა ანგარიშვალდებულ პირებს;

— გამოიყენოს საბუღალტრო აღრიცხვაში მექანიზაციის საშუალებანი;

— დადგენილ ვადაში შეადგინოს და წარუდგინოს სათანადო ორგანოებს საბუღალტრო ანგარიშგება.

ე) დამთავრებული საბუღალტრო და სხვა დოკუმენტური მასალის შენახვის, აღრიცხვის, დაცვისა და სახელმწიფო არქივისათვის გადასაცემად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 4 აპრილის № 274 დადგენილების თანახმად განათლების განყოფილების სამეურნეო-საექსპლუატაციო კანტორის აპარატში იქმნება არქივი, რომელსაც განაგებს არქივარიუსი;

— არქივარიუსი თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს შესაბამისი აქტებით, ბრძანებებით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მითითებებით, სახელმწიფო ცენტრალური არქივის ინსტრუქციებითა და წესებით;

— არქივარიუსს უფლება აქვს მოსთხოვოს დაქვემდებარებულ დაწესებულებებს დოკუმენტური მასალის დროულად მომზადება და მათი არქივში ჩაბარება, აგრეთვე სათანადო ცნობები არქივის მუშაობის საჭიროებისათვის.

7. მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე დებულების თანახმად სამეურნეო-საექსპლუატაციო კანტორის უფროსი, აუცილებლობის შემთხვევაში საზღვრავს და აზუსტებს თითოეული მუშაკის მოვალეობას და დასამტკიცებლად წარუდგენს სახალხო განათლების რაიონული (საქალაქო) განყოფილების გამგეს.

---

79 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიის კათედრასთან არსებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მეორეული ნარჩენების გადამუშავების ბიოტექნოლოგიური ლაბორატორიის, მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების, ახალი სისტემის შემოსალებად ექსპერიმენტის განხორციელების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად საჭიროა შემუშავდეს მეცნიერული კვლევის ეფექტიანობისა და ხარისხის შემდგომი ამაღლების, წარმოებასთან მეცნიერების კავშირის განმტკი-

ცების, მეცნიერ მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების სრულყოფის, მეცნიერული კვლევის შედეგების პრაქტიკაში დაჩქარებული დანერგვით მათი დაინტერესების გაძლიერების ღონისძიებათა სისტემა.

რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოებმა მოიწონეს წინადადებანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიის კათედრასთან არსებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მეორეული ნარჩენების გადამუშავების ბიოტექნოლოგიური ლაბორატორიის მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების ახალი სისტემის შემოსაღებად ექსპერიმენტის განხორციელების შესახებ, რაც მიზნად ისახავს დაწესდეს ხელფასისა და პრემიების ოდენობის პირდაპირი დამოკიდებულება დამთავრებული ნამუშევრების ხარისხობრივ მაჩვენებლებსა და მათი დანერგვის ეკონომიკურ ეფექტზე. დადგენილია, რომ შრომის ანაზღაურების დროებრივ-პრემიული და აკორდული ფორმების შეხამების, აგრეთვე მატერიალური წახალისების ისეთი სისტემის შემოღების შედეგად, რომელიც ითვალისწინებს ფაქტიურად მიღებული დამატებითი მოგების ნაწილის გამოყენებას მეცნიერთა და კვლევის პრაქტიკული რეალიზაციის აქტიურად ხელშემწყობ დანერგვის ობიექტების მუშაკთა ინტერესებისათვის, იქმნება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ხელსაყრელი პირობები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს წინადადება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიის კათედრასთან არსებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მეორეული ნარჩენების გადამუშავების ბიოტექნოლოგიური ლაბორატორიის მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების ახალი სისტემის ექსპერიმენტის წესით შემოღების შესახებ.

2. დამტკიცდეს თანდართული დროებითი დებულება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიის კათედრასთან არსებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მეორეული ნარჩენების გადამუშავების ბიოტექნოლოგიური ლაბორატორიის მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების სისტემის და შემკვეთებთან მისი პარტნიორობის ორგანიზაციის შესახებ.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ მოამზადონ წინადადებანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიის კათედრასთან არსებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მეორეული ნარჩენების გადამუშავების ბიოტექნოლოგიური ლაბორატორიის მიმართ სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების გამოყენების თავისებურებათა შესახებ.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განიხილოს ექსპერიმენტის მსვლელობაში იმ ნაკეთობათა ასორტიმენტისა და წარმოების მოცუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობის შემცირების საკითხები, რომლებიც შეიცვლება ზემოაღნიშნული ბიოტექნოლოგიური ლაბორატორიის ნამუშევრების დანერგვის შედეგად ათვისებული პროდუქციით.

5. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ:

— უზრუნველყოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიის კათედრასთან არსებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მეორეული ნარჩენების გადამუშავების ბიოტექნოლოგიური ლაბორატორიისათვის მეთოდიკური დახმარების გაწევა ექსპერიმენტის განხორციელების მსვლელობაში;

— 1984 წლის დამდეგს წარმოადგინოს მოხსენება ექსპერიმენტის შედეგების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჟართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 7 დეკემბერი, № 782.

1796

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1982 წლის 7 დეკემბრის № 782 დადგენილებით

დროებითი დებულება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიის კათედრასთან არსებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მეორეული ნარჩენების გადამუშავების ბიოტექნოლოგიური ლაბორატორიის მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების სისტემის და შემკვეთებთან მისი პარტნიორობის ორგანიზაციის შესახებ

ზოგადი დებულებანი

ეს დროებითი დებულება შემუშავებულია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რომლებიც მიზნად ისახავენ ღონისძიებათა კონცენტრაციას მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას.

სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა თანამედროვე დონის უზრუნველყოფის, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მიზიდვის და მათი საქმიანობის უკუგების ინტენსიფიკაციის მიზნით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქი-

ს. მარჯანიშ. სახ. ს.ს.ბ. ს.ს.ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიის კათედრასთან არსებულ სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მეორეულ-ფიზიკური სურსების გადამუშავების ბიოტექნოლოგიურ ლაბორატორიაში (შემდგომში ლაბორატორიად წოდებული) შემოღებულია **მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალი სისტემა და მათი მატერიალური სტიმულირების ახალი პრინციპები, რაც უზრუნველყოფს შემკვეთი ორგანიზაციების დიდ დაინტერესებას ლაბორატორიის მიერ შესრულებული** ნამუშევრების **დაჩქარებული** დანერგვით.

ლაბორატორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიის კათედრასთან არსებული სამეურნეოანგარიშიანი დამოუკიდებელი ერთეულია და მუშაობს მეცნიერული კვლევის გეგმის საფუძველზე სამინისტროებთან, უწყებებთან ან მათ მიერ უფლებამოსილ ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად.

ლაბორატორია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით, აგრეთვე ამ დროებითი დებულებით.

ლაბორატორიასთან იქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომლის პერსონალურ შემადგენლობას ამტკიცებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარეა ლაბორატორიის მეცნიერი ხელმძღვანელი.

ლაბორატორია სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით, აქვს შტამპი და ბეჭედი, რომლებზეც აღნიშნულია მისი დასახელება.

ლაბორატორიაში გამოიყენება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულება ამ დროებითი დებულებიდან გამომდინარე თავისებურებებით.

მუშაობის ორგანიზაცია

ლაბორატორია მუშაობს სამინისტროებთან, უწყებებთან, მათ მიერ უფლებამოსილ შემკვეთ ორგანიზაციებთან, აგრეთვე შესაბამის სამრეწველო საწარმოებთან, სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ დაწესებულებებთან მჭიდრო შემოქმედებითი თანამეგობრობით, ამყარებს და აფართოებს სამეცნიერო კავშირურთიერთობას დარგობრივ მთავარ ინსტიტუტებთან და თემატიკის მიხედვით უმაღლეს სასწავლებელთა მომიჯნავე კათედრებთან.

ამ კონტაქტების ორგანიზაციასთან დაკავშირებული ფინანსური საკითხები რეგულირდება დადგენილი წესით, აგრეთვე ამ დროებითი დებულებით.

ლაბორატორიის ხელმძღვანელობა შემკვეთ ორგანიზაციებთან შეთანხმებით ამტკიცებს სამეურნეო-სახელშეკრულებო სამუშაოთა ძირითად მიმართულებებს, მათი შესრულებისათვის საჭირო ხარჯების საერთო მოცულობას და ხელფასის ფონდს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაბორატორიას სათავეში უდგანან მეცნიერი ხელმძღვანელნი დირექტორიის გამგე, რომელთაც ნიშნავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

ლაბორატორიის სტრუქტურასა და საშტატო განრიგს ამტკიცებს მისი მეცნიერი ხელმძღვანელი.

ლაბორატორიის გამგე:

— განაგებს ლაბორატორიის მთელ მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს დამტკიცებული გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების ფარგლებში;

— მეცნიერ ხელმძღვანელთან ერთად არჩევს მეცნიერ მუშაკთა, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და სხვა თანამშრომელთა კანდიდატურებს, ნიშნავს და ათავისუფლებს მათ შრომის კანონმდებლობის თანახმად;

— ამზადებს შემკვეთებთან დასადებ ხელშეკრულებათა პროექტებს;

— უფლება აქვს გასცეს მინდობილობა.

ლაბორატორიის მეცნიერი ხელმძღვანელი:

— უშუალოდ ხელმძღვანელობს ლაბორატორიის მუშაობას;

— პასუხს აგებს ლაბორატორიის მეცნიერული და პრაქტიკული საქმიანობის მდგომარეობისა და მისი შედეგებისათვის;

— ადგენს ლაბორატორიის სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა გეგმებს, ორგანიზაციას უწევს და მეთაურობს მათს შესრულებას დაწესებულ ვადებში და კვლევის შედეგების დანერგვას სახალხო მეურნეობაში;

— ორგანიზაციას უწევს და არეგულირებს ლაბორატორიასთან მიმაგრებულ ასპირანტთა, სტუდენტთა და სტაჟიორთა მუშაობას;

— აკონტროლებს სამეურნეო-სახელშეკრულებო თემების შემსრულებელთა მუშაობას.

ლაბორატორიის საბუღალტრო აღრიცხვასა და ფინანსურ ოპერაციებს ახორციელებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბუღალტერიის მუშაკები.

ლაბორატორიის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიებსა და შემოწმებებს ახორციელებენ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო, უმაღლეს სასწავლებელთა მართვის ორგანოები ან სხვა საამისოდ უფლებამოსილი ორგანიზაციები.

ლაბორატორია ამუშავებს და ამტკიცებს დადგენილი წესით ხუთწლიან და წლიურ გეგმებს, რომლებშიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს სარეალიზაციოდ გათვალისწინებულ მეცნიერულ და ტექნიკურ გადაწყვეტილებათა სიახლე და პერსპექტიულობა, დამთავრებულ სამუშაოთა შედეგების სახალხო მეურნეობაში გამოყენების ეკონომიკური ეფექტი, ლაბორატორიის პრაქტიკული წვლილი წარმოების ტექნიკური დონის ამაღლებაში, აგრეთვე გეგმების ყველა განაყოფის ურთიერთდაკავშირება, რაც ითვალისწინებს შინაგანი რეზერვების მაქსიმალურ გამოყენებას.

ლაბორატორია ამუშავებს ცალკეულ მეცნიერულ და ტექნიკურ წინადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებათა რეალიზაციისათვის საინიციატივო სამუშაოების თემატიკას, აგრეთვე კვლევა-ძიების თემატიკას, ლაბორატორიის საქმიანობის პროფილის შესაბამისი პრინციპულად ახალი მეცნიერული და ტექნიკური მიმართულებების მიხედვით, სხვა სამეცნიერო დაწესებულებების მიერ განხორციელებულ ფუნდამენტურ გამოკვლევათა შედეგების გათვალისწინებით.

საძიებო სამუშაოთა თემატიკას, აგრეთვე ხუთწლიან და წლიურ გეგმებს ლაბორატორიისათვის დაწესებული მაჩვენებლების სისტემის შესაბამისად ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო აღნიშნულ სამუშაოთა შემკვეთ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით.

ლაბორატორიის მიერ შესასრულებელი სამუშაოები შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა გეგმებში.

ლაბორატორიის გეგმების დანარჩენი მაჩვენებლების მიხედვით მონაცემებს ზემდგომი ორგანოები არ ამტკიცებენ, არამედ მათ ამუშავებს ლაბორატორია და იყენებენ საგეგმო ორგანოები გეგმების დასაბუთებისათვის საანგარიშო მასალებად.

ყველა საგეგმო დავალება ეძლევათ ლაბორატორიის თანამშრომლებს.

მუშაკთა შრომის ორგანიზაცია, ხელფასი და მატერიალური სტიმულირება

ლაბორატორიის ხელმძღვანელობა:

— ახორციელებს და განუწყვეტლივ სრულყოფს შრომის ორგანიზაციას, ქმნის მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის საჭირო პირობებს, უზრუნველყოფს შრომის კანონმდებლობის, შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიის, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის წესებისა და ნორმების დაცვას, ახორციელებს გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს, უზრუნველყოფს შრომის დისციპლინის დაცვას;

— ახორციელებს ღონისძიებებს ხელფასის, მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების დარგში, ამასთან უზრუნველყოფს ხელფასისა და მატერიალური წახალისების ფონდების ეკონომიკურად და რაციონალურად გამოყენებას;

— ახორციელებს კადრების შერჩევასა და განაწილებას, ამუშავებს და ახორციელებს კადრების რეზერვის მომზადების ღონისძიებებს, განსაზღვრავს ლაბორატორიის მიმდინარე და პერსპექტიულ მოთხოვნილებას მეცნიერ მუშაკებზე, სპეციალისტებსა და კვალიფიციურ მუშებზე, იღებს ზომებს ახალგაზრდა სპეციალისტთა რაციონალურად გამოყენებისათვის.

ლაბორატორიაში წესდება მუშაკთა (სამეცნიერო პერსონალის, მოსამსახურეთა და მუშათა) შრომის ანაზღაურების ორი ფორმა: დროებრივ-პრემიული და აკორდული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის ანაზღაურების დროებრივ-პრემიული ფორმა გამოიყენება ლაბორატორიის **შტატის თანამშრომელთათვის:** მათი თანამდებობრივი სარგოები წესდება მოქმედი სქემების შესაბამისად.

ლაბორატორიის ხელმძღვანელობას დამტკიცებული ხელფასის ფონდის ფარგლებში უფლება ეძლევა ყოველთვიურად მისცეს შტატის თანამშრომლებს დავალებათა მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის პრემიის სახით სქემის მიხედვით დაწესებული თვიური თანამდებობრივი სარგო. პრემიის თანხები გაიცემა პროფკავშირის კომიტეტის თანხმობით.

ლაბორატორიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება ყოველთვიური პრემიის გაცემის შესახებ (პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებული) არ გადაისინჯება.

შრომის ანაზღაურების აკორდული ფორმა გამოიყენება კონკრეტულ სამეცნიერო სამუშაოთა შესასრულებლად დროებით მიწვეულ მაღალკვალიფიციურ მეცნიერთა და სპეციალისტთათვის.

მიწვეულ მეცნიერთა და სპეციალისტთა რაოდენობას და აკორდული ანაზღაურების ოდენობას (პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით) აწესებს ლაბორატორიის ხელმძღვანელობა კონკრეტული თემისათვის გამოყოფილი ხელფასის ფონდის ფარგლებში.

სამუშაოს შესრულების პერიოდში მიწვეულ მეცნიერებსა და სპეციალისტებს ეძლევათ გარანტირებული სარგო შტატის მუშაკთა თანამდებობრივი სარგოების სქემის შესაბამისად, ხოლო აკორდული განრიგის მიხედვით საბოლოო ანგარიშსწორება ხდება სამუშაოთა მთელი მოცულობის მიღების შემდეგ.

მეცნიერებსა და სპეციალისტებს ხელშეკრულებას აკორდული სამუშაოებისათვის განრიგის გაფორმების შესახებ (პროფკავშირის კომიტეტის თანხმობით) დაუდებს ლაბორატორიის ხელმძღვანელობა სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს რეკომენდაციით.

სამუშაოთა შესრულების ვადის ჩაშლის ან შესრულებულ სამუშაოთა არადამაკმაყოფილებელი ხარისხის შემთხვევაში მიწვეულ სპეციალისტებს შრომა აუნაზღაურდებათ გარანტირებული სარგოების მიხედვით სქემის შესაბამისად.

შტატის და მიწვეულ მუშაკთა შრომის ასანაზღაურებლად თითოეული თემის მიხედვით გამოყენებული ხელფასის ფონდი არ უნდა აღემატებოდეს ხარჯთაღრიცხვით დამტკიცებულის 90 პროცენტს.

შემკვეთებთან ხელშეკრულების დადებისას ლაბორატორიის ხელფასის ფონდი განისაზღვრება შესრულებულ სამუშაოთა განრიგის შედეგად მიღებული მოსალოდნელი წლიური ეკონომიკური ეფექტიანობის შესაბამისად შემდეგი ოდენობით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლიური ეკონომიკური ეფექტიანობა	ხელფასის ფონდის ოდენობა (წლიური ეკონომიკური ეფექტიანობის პროცენტულად)
50 ათასიდან 100 ათას მანეთამდე	3-დან 12 პროცენტამდე, მაგრამ არა უმეტეს 10 ათასი მანეთისა
100 ათასიდან 500 ათას მანეთამდე	2-დან 10 პროცენტამდე, მაგრამ არა უმეტეს 35 ათასი მანეთისა
500 ათასიდან 2 მილიონ მანეთამდე	1-დან 7 პროცენტამდე, მაგრამ არა უმეტეს 80 ათასი მანეთისა
2 მილიონიდან 5 მილიონ მანეთამდე	0,7-დან 4 პროცენტამდე, მაგრამ არა უმეტეს 150 ათასი მანეთისა
5 მილიონ მანეთზე მეტი	0,5-დან 3 პროცენტამდე, მაგრამ არა უმეტეს 200 ათასი მანეთისა.

ლაბორატორიას უფლება აქვს გამოიყენოს ხელფასის ფონდი შესასრულებელი თემის ეტაპების მიხედვით და ინარჩუნებს უფლებას გამოიყენოს იგი მომდევნო წლებში ხელშეკრულების დამთავრებამდე.

ლაბორატორიის მიერ ხელშეკრულების პირობების უხარისხოდ შესრულების ან ვადების დარღვევის დროს, აგრეთვე ლაბორატორიის მიზეზით ხელშეკრულების გაწყვეტის შემთხვევაში შემკვეთი გადაიხდის მხოლოდ იმ ხარჯებს, რაც დაკავშირებულია ხელშეკრულების გაწყვეტის მომენტისათვის თემის შემსრულებელთა ხელფასის გარანტირებული მინიმუმის გაცემასთან, ხოლო მთელი დანარჩენი ხარჯები მიეკუთვნება ლაბორატორიას.

შემკვეთის მიზეზით ხელშეკრულების გაწყვეტის შემთხვევაში იგი გადაიხდის მთელ ხარჯებს, რაც გაწეულია თემის შესასრულებლად ხელშეკრულების გაწყვეტის მომენტისათვის, აგრეთვე გადარიცხავს ლაბორატორიის ანგარიშზე ხელშეკრულების გაწყვეტის მომენტისათვის გამოუყენებელ ნაწილს ხელფასის ფონდისა, რომელიც გათვალისწინებულია ხარჯთაღრიცხვით მთლიანად თემისათვის.

ხელშეკრულების გაწყვეტის შემთხვევაში მიწვეულ მეცნიერებსა და სპეციალისტებს მიეცემათ აკორდული სამუშაოებისათვის განრიგით დათქმული თანხის ნაწილი, ხელშეკრულების გაწყვეტის მომენტისათვის ფაქტიურად შესრულებული სამუშაოთა მოცულობის პროპორციულად.

ლაბორატორიის, შტატისა და მიწვეულ თანამშრომელთა, აგრეთვე სამეცნიერო და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა შედეგების დანერგვაში უშუალოდ მონაწილე წარმოების მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების მიზნით წესდება მატერიალური წახალისების შემდეგი სისტემა:

— წარმოებაში ნამუშევრის დანერგვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში საწარმოები და ორგანიზაციები, სადაც განხორციელდა დანერგვა, გადარიცხავენ ლაბორატორიის ანგარიშზე მათ მიერ ფაქტიურად მიღებული დამატებითი მოგების 30 პროცენტს.

ეს თანხა თანაბრად ნაწილდება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მატერიალური წახალისების ფონდებს,

— სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდებს,

— ლაბორატორიის განვითარების ფონდებს შორის.

პრემიები გაიცემა:

— მეცნიერული მუშაობის განსაკუთრებით თვალსაჩინო შედეგებისათვის, აგრეთვე უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-კვლევით და მასთან დაკავშირებულ საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაწესებულ ვადაში წარმატებით დამთავრებისათვის;

— დაწესებულ ვადაში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა შედეგების წარმოებაში წარმატებით დანერგვისათვის;

— სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა წლიური თემატიკური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის იმ პირობით, თუ უზრუნველყოფილია კვლევის მაღალი ხარისხი.

ლაბორატორიის მეცნიერ ხელმძღვანელს უფლება ეძლევა მისცეს მუშაკებს პრემიები ხელშეკრულების მიხედვით სამუშაოთა დამთავრების შემდეგ.

პრემირების საფუძველს წარმოადგენს:

— ლაბორატორიის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს დასკვნა;

— ცნობა გეგმის მიხედვით სამუშაოთა შესრულების ვადების შესახებ.

პრემიების ოდენობა წესდება იმის მიხედვით, თუ რა წილი შეიტანეს მუშაკებმა სამუშაოთა შესრულებაში.

ლაბორატორიის ხელმძღვანელობას პრემიას მისცემს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ლაბორატორიის საპრემიო ფონდის ხარჯზე.

წლის განმავლობაში ლაბორატორიის მეცნიერი ხელმძღვანელისა და ლაბორატორიის გამგის მიერ მიღებული პრემიების თანხა არ უნდა აღემატებოდეს ოთხი თვის სარგოს.

საპრემიო ფონდის სახსრები აღირიცხება ცალკე ლაბორატორიის დანარჩენი სახსრებისაგან.

მუშაკთა პრემირებისათვის გათვალისწინებული, აგრეთვე ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემირების ცენტრალიზებული ფონდიდან მიღებული მატერიალური წახალისების ფონდის სახსრები, რომლებსაც ლაბორატორია ვერ გამოიყენებს საანგარიშო წლის განმავლობაში, არ ჩამოერთმევა და რჩება ლაბორატორიის განკარგულებაში.

ლაბორატორიის მიერ თავის განკარგულებაში დატოვებული მატერიალური წახალისების ფონდის სახსრები გამოიყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავალებათა და პერსპექტიულ და საინიციატივო სამუშაოთა შესრულებისათვის მუშაკთა პრემირებისათვის, საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის.

მატერიალური წახალისების ფონდების და სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის იმ თანხების გამოყენების ხარჯთაღრიცხვებს, რომლებიც ლაბორატორიის განკარგულებაში რჩება, ამტკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცებს ლაბორატორიის ხელმძღვანელობა პროფკავშირის შესაბამის კომიტეტთან ერთად.

ზემდგომი ორგანოს მიერ ლაბორატორიის ეკონომიკური სტიმულირების ფონდების სახსრების ჩამორთმევა და გადანაწილება არ დაიშვება, სპეციალური დადგენილებებით განსაზღვრული შემთხვევების გარდა.

სამუშაოთა დაფინანსება, აღრიცხვა და ანგარიშგება

ლაბორატორია ორგანიზაციას უწევს და ახორციელებს მუშაობას ფინანსური დაგეგმვის, სამეურნეო ანგარიშის, საგეგმო-საფინანსო დისციპლინის განმტკიცებისათვის, უზრუნველყოფს საბრუნავი სახსრების დაცვა-შენარჩუნებას, მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენებას და მათი ბრუნვადობის დაჩქარებას, შინაგანი რეზერვების მობილიზაციას, მუშაკებთან, ბანკებთან, მიმწოდებლებთან, მოიჯარეებთან, ზემდგომ ორგანიზაციასთან ანგარიშსწორების დროულად განხორციელებას და საფინანსო გეგმებიდან და ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებათა შესრულებას.

ლაბორატორიის საფინანსო გეგმა მუშავდება შემკვეთთა მიერ ლაბორატორიისათვის დაწესებული მაჩვენებლების საფუძველზე, და მას ამტკიცებს მეცნიერი ხელმძღვანელი.

ლაბორატორია ასრულებს სამუშაოებს მისთვის მიჩენილი თემატიკის მიხედვით სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა შეკვეთებისა და სამეურნეო ხელშეკრულებების საფუძველზე.

ბიუჯეტთან, მიმწოდებლებთან და მყიდველებთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ანგარიშსწორებას, საკრედიტო ურთიერთობას, აგრეთვე ხელფასის ფონდის ხარჯვისა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისადმი ბანკების მხრივ კონტროლს ახორციელებს ლაბორატორია.

ლაბორატორიას შეუძლია ისარგებლოს ბანკის კრედიტით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და პასუხისმგებელია მისი მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისა და დროულად დაბრუნებისათვის.

ლაბორატორიისათვის საჭირო კრედიტებზე განცხადებები წარედგინებათ დადგენილი წესით სახბანკისა და მშენბანკის დაწესებულებებს, აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

ლაბორატორია განსაზღვრავს საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივებს საერთო ნორმატივის ფარგლებში.

ლაბორატორია ამუშავებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებებს და ახალი ტექნიკის, ახალი მასალების, ახალი ტექნოლოგიური პროცესების შექმნისა და დანერგვის, **მოწყობილობის მოდერნიზაციის,** წარმოების ტექნოლოგიის გაუმჯობესების, **საწარმოო პროცესების** რაციონალიზაციისა და ინტენსიფიკაციის ღონისძიებათა **განსახორციელებლად დანახარჯების ანაზღაურების გაანგარიშებებს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულ გაანგარიშებებს ამტკიცებს ლაბორატორიის მეცნიერი ხელმძღვანელი.

ლაბორატორია დადგენილი წესით შეადგენს და წარუდგენს შესაბამის ორგანოებს ანგარიშგებას ლაბორატორიის საქმიანობის შესახებ და პასუხს აგებს მისი უტყუარობისათვის.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოქმედი წესის გათვალისწინებით უზრუნველყოფს ლაბორატორიის მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას მისი სახსრების ხარჯზე.

ლაბორატორია უზრუნველყოფს მისთვის გამოყოფილი ფონდების რეალიზაციას და პასუხს აგებს მატერიალური რესურსების გამოყენების ეფექტიანობისათვის.

ლაბორატორიას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით შეუძლია დაუდოს საქართველოს სსრ სახმომარაგებას გრძელვადიანი ხელშეკრულებანი ლაბორატორიის მომარაგების ორგანიზაციის შესახებ, რომლებიც ითვალისწინებენ გარანტირებულ კომპლექსურ უზრუნველყოფას, მასალებისა და ნაკეთობების ცენტრალიზებულ მიტანას შეთანხმებული გრაფიკების მიხედვით, ზედმეტი და გამოუყენებელი მატერიალური ფასეულობების რეალიზაციას და სხვა მომსახურების გაწევას.

ლაბორატორიას შეუძლია შეიძინოს სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან ფონდების გარეშე სარეალიზაციო პროდუქცია, ზედმეტი მატერიალური ფასეულობანი, აგრეთვე შეისყიდოს საჭირო საგნები საბითუმო და საცალო ვაჭრობის წესით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ლაბორატორიას უფლება აქვს გადასცეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეთანხმებით ფონდები სხვა ლაბორატორიებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს და მისცეს მათ თავისი რესურსებიდან მასალები, საკომპლექტებელი მოწყობილობა დაწესებული ნორმების მიხედვით ხელშეკრულებათა საფუძველზე ლაბორატორიისათვის საჭირო პროდუქციის დასამზადებლად.

ლაბორატორიას უფლება აქვს:

— მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეიძინოს კვლევით და საცდელ სამუშაოთა განსახორციელებლად ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებანი და ლაბორატორიული მოწყობილობა საკუთარი სახსრების ხარჯზე და შემკვეთის მიერ კაპიტალური დაბანდებებისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯზე;

— მისცეს ხელსაწყოები, მასალები სხვა ლაბორატორიებსა და სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციებს ლაბორატორიის მიერ სამეურნეო-სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებისათვის საჭირო სამეცნიერო-კვლევით და საცდელ სამუშაოთა განსახორციელებლად;

— მისცეს მისთვის გამოყოფილი ფონდების ფარგლებში დადგენილი წესით ანაზღაურებით ორგანიზაციებს, რომლებიც ასრულებენ ლაბორატორიისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებ[illegible] მუშაოთა განხორციელებისათვის საჭირო ნედლეული, მასალები, ნახევარფაბრიკატები და მზა ნაკეთობანი.

ლაბორატორიის ქონება და სახსრები

ლაბორატორიის ქონებას შეადგენენ ძირითადი და საბრუნავი სახსრები, რომლებიც ქმნიან მის საწესდებო ფონდს, აგრეთვე ლაბორატორიისათვის მიჩენილი ფონდები და სხვა ქონება.

ლაბორატორიისათვის მიჩენილი ქონება აისახება მის დამოუკიდებელ ბალანსზე.

ლაბორატორიაში იქმნება:

— ლაბორატორიის განვითარების ფონდი;

— მატერიალური წახალისების ფონდი;

— სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდი;

— სხვა ფონდები სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად.

ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დროებითი დებულებით.

ლაბორატორიის საკუთარი საბრუნავი სახსრების საერთო ოდენობა (ნორმატივი) მტკიცდება დადგენილი წესით საგეგმო დავალებებიდან გამომდინარე და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ხარჯვისა და მარაგის ნორმების შესაბამისად.

ლაბორატორიისათვის მიჩენილი საბრუნავი სახსრები ნორმატივის ფარგლებში არ შეიძლება ჩამოართვას ზემდგომმა ორგანომ.

ლაბორატორიისათვის მიჩენილი შენობები, ნაგებობანი, მოქმედი მოწყობილობა და სხვა ძირითადი საშუალებანი შეიძლება გადაეცეთ სხვა ორგანიზაციებსა და საწარმოებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ლაბორატორიას შეუძლია ზედმეტი, გამოუყენებელი მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, ხელსაწყოები, ინსტრუმენტები, ინვენტარი, ნედლეული, მასალები და სათბობი მიჰყიდოს სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს დადგენილი წესის დაცვით.

ადგილობრივი დამზადების წესით ლაბორატორიის მიერ შეძენილ მასალებს, ინსტრუმენტებსა და სხვა მატერიალურ ფასეულობებს იგი ჰყიდის დამოუკიდებლად.

საბრუნავი სახსრებისათვის მიკუთვნებულ მატერიალურ ფასეულობაია გაყიდვის შედეგად შემოსული თანხები რჩება ლაბორატორიის განკარგულებაში მისი საბრუნავი სახსრების სახით. ამასთან ადრე მეცნიერული მიზნებისათვის საბიუჯეტო ასიგნებათა ხარჯზე შეძენილი ნედლეულისა და მასალების გაყიდვით მიღებული თანხები შეიტანება ბიუჯეტის შემოსავალში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირითადი სახსრებისათვის მიკუთვნებულ მატერიალურ ფასეულობათა გაყიდვით მიღებული თანხები რჩება ლაბორატორიის განკარგულებაში და გადაეცემა ლაბორატორიის განვითარების ფონდში.

ლაბორატორია ეწევა საამორტიზაციო ანარიცხებს კაპიტალური რემონტისათვის და ძირითადი ფონდების აღსადგენად.

კაპიტალური რემონტის დასაფინანსებლად გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხები შეადგენს ლაბორატორიის მიზნობრივ ფონდს და იხარჯება როგორც კაპიტალური რემონტისათვის, ისევე ძირითადი ფონდების მოდერნიზაციისათვის, აგრეთვე ამ სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო დეტალებისა და კვანძების შესაძენად და გაცვეთილი დეტალებისა და კვანძების შესაცვლელად.

აღნიშნული ფონდის სახსრების ხარჯზე შეიძლება გაწეულ იქნეს აგრეთვე ახალი მოწყობილობის შეძენის ხარჯები მოძველებულის შესაცვლელად, რომლის კაპიტალური რემონტი ეკონომიკურად მიზანშეუწონელია.

ლაბორატორიის მუშაკები მოვალენი არიან გაუფრთხილდნენ სახელმწიფო ქონებას, განახორციელონ შენობა-ნაგებობათა და მოწყობილობის სწორი ექსპლუატაცია, დაიცვან მკაცრი ეკონომია მატერიალური საშუალებებისა და ფულადი სახსრების ხარჯვაში. ქონების გაფუჭებასა და ლაბორატორიისათვის მატერიალური ზარალის მიყენებაში დამნაშავე პირებს დაეკისრებათ პასუხისმგებლობა დადგენილი წესით.

ლაბორატორიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ლაბორატორიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხდება დადგენილი წესით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გადაწყვეტილებებით შემკვეთებთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ, დაწყებულ სამუშაოთა შესრულებისათვის ზიანის მიუყენებლად.

ლაბორატორიის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის წესსა და ვადებს განსაზღვრავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

---

80 საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფილის შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს თანამედროვე ეკონომიკის მეცნიერების აქტუალურ პრობლემა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა შესასწავლად, რომელთა შორის წამყვანი ადგილი უკავია რესპუბლიკისა და მისი ცალკეული რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გრძელვადიანი პერიოდის ძირითადი მიმართულებების მეცნიერულად დასაბუთებულ წინადადებათა და სხვა წინასაგეგმო ნამუშევართა მომზადებას. მუშაობაში დიდი ადგილი ეთმობა გამოკვლევებს სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების დარგში. მუშავდება აგრეთვე სახალხო-სამეურნეო და რეგიონალური დაგეგმვის მეთოდოლოგიური პრობლემები.

ამასთანავე გამოკვლევები სახალხო მეურნეობისა და მთლიანად მრეწველობის და ცალკეული დარგების მართვის სრულყოფის სფეროში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელი ტემპით მიმდინარეობს. ჯეროვანი მეცნიერული განზოგადება არ მიუღია იმ ფართოდ ცნობილ ცდებსა და ექსპერიმენტებს, რომლებიც რესპუბლიკაში ხორციელდება აგროსამრეწველო კომპლექსის რაიონული რგოლის გასაუმჯობესებლად, ქალაქებში მრეწველობის მართვის სისტემის სრულყოფისათვის, არასაკმარისია კავშირი პრაქტიკასთან და მუშაობა დამთავრებულ გამოკვლევათა დასანერგად.

დაგეგმვისა და გრძელვადიანი პროგნოზირების დარგში მეცნიერულ გამოკვლევათა გასაღრმავებლად და ეფექტიანობის ასამაღლებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის VI (1982 წლის მაისი) პლენუმის გადაწყვეტილების შესასრულებლად და მატერიალური წარმოებისა და არასაწარმოო სფეროს დარგთა მართვის სრულყოფის, აგრეთვე პრაქტიკასთან ეკონომიკის მეცნიერების კავშირის განმტკიცების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გარდაიქმნას საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ძირითად ამოცანებად ჩაითვალოს:

— მეცნიერულ გამოკვლევათა შემდგომი გაღრმავება ეკონომიკის მეცნიერების პრობლემებზე და დაგეგმვის მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის სრულყოფის დარგში; პერსპექტიული პროგნოზირების დონის ამაღლება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი კონცეფციის ფორმირების მიზნით; ნამუშევრების გაფართოება რეგიონალური ეკონომიკისა და დაგეგმვის დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპების ოპტიმალური შეხამების საკითხებზე; საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტების წინასაგეგმო წინადადებათა მეცნიერული დასაბუთებულობის გაუმჯობესება; ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაჩვენებლების მიხედვით საშუალო საკავშირო დო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისაგან საქართველოს სს რესპუბლიკის არსებული ჩამორჩენის დასაძლევად უფრო ეფექტიანი გზების ძიება.

ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმას, რომ მეცნიერული გამოკვლევები გამოყენებას პოულობდნენ სამეურნეო პრაქტიკაში და ხელს უწყობდნენ სახალხო მეურნეობის მყარი და წარმატებული განვითარების უზრუნველყოფის ამოცანების შესრულებას, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას და მის გადაყვანას განვითარების უპირატესად ინტენსიურ გზაზე, ეკონომიკურ გამოკვლევათა რესურსდამზოგველი ასპექტების გაფართოებას და საწარმოო პოტენციალის, ბუნებრივი და შრომითი რესურსების უფრო რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა შემუშავებას, აგრეთვე საერთო-ეკონომიკური, დარგობრივი და დარგთაშორისი პროპორციების ოპტიმიზაციას;

— სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის დარგთა მართვის სრულყოფის პრობლემების კვლევის გაფართოებას შესაბამისი მეცნიერული რეკომენდაციების შემუშავებით, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის მოწინავე გამოცდილების, განსაკუთრებით ყველა დონეზე აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის გამოცდილების, აგრეთვე ქალაქების ეკონომიკის კომპლექსური მართვის ახალი ფორმის (ფოთის ექსპერიმენტი) შესწავლასა და მეცნიერულ განზოგადებას, სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის დარგში იმ მეცნიერულ გამოკვლევათა კოორდინაციას, რაც რესპუბლიკაში ხორციელდება.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს:

— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 1983 წლისა და მომდევნო წლების სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა გეგმის განხილვისა და დამტკიცებისას გაითვალისწინოს, რომ საჭიროა გამოკვლევათა თემატიკა შეესაბამებოდეს ინსტიტუტის ზემოაღნიშნულ ძირითად ამოცანებს;

— განიხილოს საკითხი იმის შესახებ, რომ შეიცვალოს ინსტიტუტის სტრუქტურა მისი ახალი პრობლემატიკის მიხედვით;

— სამი თვის ვადაში დაამტკიცოს ინსტიტუტის ახალი დებულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 20 დეკემბერი, № 820.

ეროვნული ბიბლიოთეკა

81 საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების წესდება აღნიშნული საზოგადოების III ყრილობის მიერ მოწონებული ცვლილებებითა და დამატებებით.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 29 ოქტომბრის № 639 დადგენილება „საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების დებულების დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 18 აპრილის № 217 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 29 ოქტომბრის № 639 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 27 დეკემბერი, № 825.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1983 წლის 27 დეკემბრის № 825 დადგენილებით

საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების („საქავტომოტომოყვარული“)

წ ე ს დ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოება („საქავტომოტომოყვარული“) არის მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია იმ მიზნით, რომ განახორციელოს სისტემატური მუშაობა ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ინდივიდუალურ მფლობელებთან მათი პასუხისმგებლობისა და დისციპლინის ასამაღლებლად სატრანს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტო საშუალებათა მართვისას, დაეხმაროს სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის წესების ცოდნის გაღრმავებასა და ტარების ოსტატობის სრულყოფაში, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ორგანიზატორულ და მასობრივ ახსნა-განმარტებით მუშაობაში მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევათა თავიდან ასაცილებლად.

2. საზოგადოება თავის მუშაობას წარმართავს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების, ფართო ინიციატივისა და თვითმოქმედების საფუძველზე, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და სახელმწიფო ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტით.

II. საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ამოცანები

3. საზოგადოების ძირითადი ამოცანებია:

ა) გააერთიანოს ავტომობილისა და მოტოციკლის მფლობელი მოქალაქენი, აგრეთვე ავტომოტოტექნიკის, საავტომობილო და სამოტოციკლო სპორტისა და ტურიზმის სხვა მოყვარულნი;

ბ) აღზარდოს საზოგადოების წევრები კომუნისტური მორალის, საბჭოთა პატრიოტიზმის, შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების, ამხანაგობისა და მეგობრობის, საგზაო მოძრაობის წესების ყოველგვარი დარღვევებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების სულისკვეთებით;

გ) უზრუნველყოს საზოგადოების წევრთა აქტიური მონაწილეობა ორგანიზატორულ და მასობრივ ახსნა-განმარტებით მუშაობაში მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევათა თავიდან ასაცილებლად და ინდივიდუალური მფლობელობის ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის პრაქტიკიდან ავარიებისა და კატასტროფების შემთხვევათა აღმოსაფხვრელად;

დ) დაეხმაროს საზოგადოების წევრებს როგორც თავისი ძალებით, ისე საქართველოს რესპუბლიკური სპეციალიზებული სამმართველოს („ავტოტექმომსახურება") საწარმოთა მეშვეობით გასაჩერებელ ადგილებზე და გზებზე ავტომობილებისა და მოტოციკლების ტექნიკურ მომსახურებასა და რემონტში;

ე) უხელმძღვანელოს მოქალაქეთა კუთვნილი ავტომობილების ფასიანი სადგომების ექსპლუატაციის, მისი ქსელის დაგეგმარებისა და გაფართოების საქმეს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიცენტრებში;

ვ) ხელი შეუწყოს ავტომობილისა და მოტოციკლის მფლობელ მძღოლთა კვალიფიკაციის სისტემატურ სრულყოფას;

ზ) ჩაებას საზოგადოების წევრები ქუჩებსა და გზებზე მოძრაობის ორგანიზაციის სრულყოფისათვის თანამშრომლობაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების განუწყვეტლივ ამაღლების ინტერესებისათვის;

თ) პოპულარიზაცია გაუწიოს მოსახლეობაში და, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდობაში საავტომობილო და სამოტოციკლო სპორტსა და ტურიზმს, მოაწყოს ავტომოტოტურისტული და სპორტული ბანაკები, შეკრებები და დასასვენებელი ბანაკები;

ი) გაუწიოს საზოგადოების წევრებს იურიდიული დახმარება ინდივიდუალური მფლობელობის სატრანსპორტო საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებით;

კ) პოპულარიზაცია გაუწიოს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ტექნიკურ და იურიდიულ ცოდნას, უზრუნველყოს საგზაო მოძრაობის და სატრანსპორტო საშუალებათა მოვლა-შენახვის წესების, მათი ტარებისა და მომსახურების საუკეთესო ხერხების ფართო პროპაგანდა;

ლ) გაავრცელოს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილება:

მ) შეუქმნას პირობები საზოგადოების წევრებსა და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ყველა ინდივიდუალურ მფლობელს მშობლიური მხარის შესასწავლად, მრავალმხრივი დასვენებისა და თავისუფალი დროის კულტურული გატარებისათვის, ჩაუნერგოს საზოგადოების წევრებს მზრუნველობა ბუნებისადმი.

4. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარული“ თავისი ამოცანების შესრულების ინტერესებისათვის:

ა) პროპაგანდას უწევს მოსახლეობაში საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს;

ბ) სისტემატურად აცნობს საზოგადოების წევრებს ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დადგენილებებს მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებზე, საგზაო მოძრაობის წესების ცვლილებებს და ამ წესების დამრღვევთა დასჯის ზომებს;

გ) აწყობს საზოგადოების წევრებისათვის მოხსენებებს, საუბრებს, ინფორმაციებს, კონსულტაციებს საგზაო მოძრაობის, ავტომოტოტექნიკის, ავტომოტოტურიზმისა და ავტომოტოტრანსპორტის საკითხებზე, აგრეთვე საგზაო მოძრაობის წესების ყველაზე დამახასიათებელ დარღვევათა ფაქტების კვალიფიციურ გარჩევას, მათი მიზეზებისა და თავიდან აცილების გამოუყენებელ შესაძლებლობათა ანალიზს:

დ) უჩვენებს საზოგადოების წევრებს მეცნიერულ-პოპულარულ კინოფილმებს, დიაფილმებს, მართავს სემინარებს, ვიქტორინებს, გამოფენებს, შეხვედრებს ვეტერან ავტომოტომოყვარულებთან ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მართვისა და ექსპლუატაციის საკითხებზე;

ე) აწყობს ავტომოტომოყვარულებისა და მოსახლეობისათვის გამოსვლებს რადიოთი, ტელევიზიითა და პრესაში საგზაო მოძრაობის წესების დაცვის საკითხებზე და საზოგადოების მოწინავე წევრთა გამოცდილების პოპულარიზაციის მიზნით;

ვ) განიხილავს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის მიერ გადმოცემულ საზოგადოების წევრთა ცალკეულ პერსონალურ საქმეებს, რომლებმაც დაარღვიეს საგზაო მოძრაობის წესები და იღებს დამრღვევთა მიმართ ამ წესდებით გათვალისწინებული ზემოქმედების ზომებს;

ზ) უზრუნველყოფს საზოგადოების მოწინავე წევრთა წახალისებას, ამ წესდებით გათვალისწინებული უფლებების შესაბამისად;

თ) უზრუნველყოფს საზოგადოების წევრთა აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივი ავტოინსპექციის მუშაობაში.

საზოგადოების ადგილობრივი საბჭოების თავმჯდომარეები მონაწილეობენ ადმინისტრაციული დოკუმენტების განმხილველი კომისიების მუშაობაში და ინდივიდუალური სარგებლობის ავტომოტოსაშუალებათა ტექნიკურ დათვალიერებაში;

ი) აწყობს დადგენილი წესით ავტომოტომოყვარულთა კლუბებს, კურსებს, წრეებსა და ჯგუფებს როგორც მძღოლთა ცოდნის გაღრმავებისათვის, აგრეთვე ავტომოტოტურიზმისა და ავტომოტოსპორტის ინსტრუქტორთა, მსაჯთა და საზოგადოების სხვა სახეობის საქმიანობისათვის საჭირო სპეციალისტთა მოსამზადებლად, ახორციელებს ღონისძიებებს თანრიგოსან სპორტსმენთა მოსამზადებლად და აკომპლექტებს ნაკრებ გუნდებს ზონალური და რესპუბლიკური შეჯიბრებებისათვის;

კ) აწყობს საზოგადოების წევრთა ტექნიკურ თვითმოქმედებას მათი კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ავტომოტოტურისტული აღჭურვილობის სრულყოფისა და რემონტისათვის და ხელმძღვანელობას უწევს ამ საქმეს;

ლ) აწყობს საზოგადოების წევრებისათვის ტურისტულ ლაშქრობებს, მოგზაურობებს, რალის, შეკრებებს;

მ) ამყარებს ურთიერთობას სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების შესაბამის ორგანოებთან და სახალხო მეურნეობის მსხვილი ობიექტების ხელმძღვანელობასთან მოქალაქეთა კუთვნილი ავტომობილების ფასიანი სადგომებისა და გარაჟების მოწყობისა და მშენებლობის საკითხებზე;

ნ) ამყარებს ურთიერთობას ტურიზმისა და ექსკურსიების ცენტრალურ საბჭოსთან, აგრეთვე სხვა ორგანიზაციებთან იმ მიზნით, რომ პირველ რიგში მიიღოს საზოგადოების წევრებისათვის ტურისტული ინვენტარი გამქირავებელ პუნქტებში, ადგილობრივ მოტელებში, ავტოპანსიონატებსა და სხვა სახეობათა მომსახურების ობიექტებში;

ო) ეხმარება საზოგადოების კოლექტიურ წევრ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს ავტოტურიზმისა და ავტომოტოსპორტის დარგში ღონისძიებათა განხორციელებაში, აგრეთვე მათი მუშაკების დასვენების ორგანიზაციაში;

პ) გამოსცემს დადგენილი წესით ბიულეტენებს, კრებულებს, ცნობარებს, პლაკატებს, გზამკვლევებს, ბროშურებს, პლაკატებს მოძრაობის უსაფრთხოების, საავტომობილო და სამოტოციკლო ტურიზმისა და სპორტის საკითხებზე, აშუქებს საზოგადოების საქმიანობას პერიოდულ პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით:

ჟ) აწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას საზოგადოების წევრებსა და ორგანიზაციებს შორის და კონკურსებს საზოგადოების ამოცანების საუკეთესო შესრულებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ) იწვევს დადგენილი წესით თათბირებს, სემინარებს, კონფერენციებს საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, აგრეთვე მონაწილეობს შესაბამის თათბირებსა და კონფერენციებში, რომლებსაც აწყობენ სახელმწიფო ორგანოები ან საზოგადოებრივი ორგანიზაციები;

ს) ხელს უწყობს სკოლებსა და სხვა სასწავლებლებს ჩაუნერგოს ახალგაზრდობას პასუხისმგებლობის გრძნობა საგზაო მოძრაობის წესების დაცვისათვის, შეფობას უწევს საბავშვო მოძრაობის უსაფრთხოების მოედნებს;

ტ) ამყარებს კავშირურთიერთობას სახელმწიფო, საზოგადოებრივ, სამეცნიერო, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციებთან იმ მიზნით,რომ ერთობლივად შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი საზოგადოების ამოცანების შესაბამისად;

უ) პროპაგანდას უწევს საზოგადოების წევრთა შორის ინდივიდუალურ მფლობელთა ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნებაყოფლობითი დაზღვევის გაფართოების საკითხს;

ფ) იძენს ქონებასა და ფლობს მას, დადგენილი წესით ქმნის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომელთა საქმიანობა შეესაბამება საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს (ტექნიკური თვითმომსახურების პუნქტები, მოძრავი სახელოსნოები გზებზე საზოგადოების წევრთათვის ტექნიკური დახმარების გასაწევად, ავტომობილის ნამუშევარი გაზების ტოქსიკურობის აღმოფხვრის საკონტროლო-სარეგულირებელი პუნქტები, სასწავლო თვალსაჩინოებათა, ავტომობილების გატაცების საწინააღმდეგო მოწყობილობათა სახელოსნოები და სხვა). თავისი სახსრებით, აგრეთვე დაინტერესებული ორგანიზაციების წილობრივი მონაწილეობით ახორციელებს ობიექტების მშენებლობას საზოგადოების საჭიროებისათვის (სასწავლო ბაზები, ფასიანი საავტომობილო სადგომები და სხვა).

5. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარული“ და მისი რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო (სამხრეთ ოსეთის აო), საქალაქო და რაიონული ორგანიზაციები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებით და აქვთ ბეჭედი, რომელზეც აღნიშნულია მათი სახელწოდება.

საზოგადოებასა და მის ორგანიზაციებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა თავიანთი ვალდებულებებისათვის საკუთარი სახსრებისა და ქონების ფარგლებში, გარდა ქონებისა, რომელზეც კანონით არ შეიძლება მიმართულ იქნეს გადახდევინება.

6. ნებაყოფლობითს საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულს“ აქვს დროშა, ემბლემა, ხოლო საზოგადოების წევრებისათვის — სპორტული ფორმა და სამკერდე ნიშანი, რომელთა ნიმუშებს ამტკიცებს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრები, მათი უფლება-მოვალეობანი

7. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ წევრები შეიძლება იყვნენ:

ა) სსრ კავშირის მოქალაქენი, რომელთაც შეუსრულდათ 18 წელი, აღიარებენ ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ წესდებას და მონაწილეობენ მისი ერთ-ერთი პირველადი ორგანიზაციის მუშაობაში.

შენიშვნა: მოსწავლეები, რომელთაც არ შესრულებიათ 18 წელი, ერთიანდებიან საზოგადოების პირველადს ორგანიზაციებთან არსებულ ჭაბუკთა და ქალიშვილთა ჯგუფებში, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მიერ დამტკიცებული პირველადი ორგანიზაციების დებულების საფუძველზე;

ბ) სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები, სასწავლებლები, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები (კოლექტიური წევრები), რომელთა სულ ცოტა 50 მუშაკი მაინც არის საზოგადოების წევრი.

8. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ წევრებს იღებენ საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები საზოგადოებაში შესვლის მსურველის წერილობითი განცხადების საფუძველზე.

საზოგადოების კოლექტიურ წევრებს იღებენ საზოგადოების რაიონული (საქალაქო) ორგანიზაციების საბჭოები სახელმწიფო საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, სასწავლებელთა, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა განცხადებების საფუძველზე.

საზოგადოების წევრად მიღებაზე უარის გამო საჩივრებს განიხილავს საზოგადოების ზემდგომი ორგანიზაციის საბჭო.

9. საზოგადოების ყველა წევრს ეძლევა საწევრო ბილეთი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ნიმუშის მიხედვით.

10. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ წევრები მოვალენი არიან:

ა) იმყოფებოდნენ აღრიცხვაზე და აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის ერთი (ან რამდენიმე) სექციის მუშაობაში; ასრულებდნენ საზოგადოების წესდების, საზოგადოების ყრილობების, კონფერენციების, კრებებისა და ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებათა მოთხოვნებს;

ბ) პროპაგანდას უწევდნენ მოსახლეობაში საზოგადოების ამოცანებს, იზიდავდნენ საზოგადოებაში ახალ წევრებს;

გ) ღირსეულად ატარებდნენ საზოგადოების წევრის სახელს, უჩვენებდნენ დისციპლინიანობისა და ორგანიზებულობის მაგალითს, სისტემატურად მუშაობდნენ თავიანთი ტექნიკური და სპორტული კვალიფიკაციის ამაღლებლად, სრულყოფდნენ ტარების ოსტატობას, ზუსტად იცავდნენ საგზაო მოძრაობის წესებსა და ავტომოტოტურისტის ქცევის წესებს ლაშქრობაში და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჩერებებზე, ყოველ ღონეს ხმარობდნენ ამ წესების დარღვევის თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად;

დ) იჩენდნენ აქტივობასა და ინიციატივას საზოგადოების მუშაობის გაუმჯობესებისა და ქუჩაში მოძრაობის წესების სრულყოფის საქმეში;

ე) დროულად იხდიდნენ შესასვლელ და ყოველწლიურ საწევრო გადასახადებს და ანაზღაურებდნენ საზოგადოების მიერ მათთვის გაწეული მომსახურების ანგარიშებს;

ვ) მზრუნველობით ეკიდებოდნენ საზოგადოების მატერიალურ ნაწილსა და ქონებას, დროულად იხდიდნენ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებსა და გამოსაღებებს.

11. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ წევრებს უფლება აქვთ:

ა) მონაწილეობა მიიღონ გადამწყვეტი ხმის უფლებით საზოგადოების წევრთა კრებებსა და თათბირებში, აირჩიონ და არჩეულ იქნენ საზოგადოების ყრილობებზე, კონფერენციებზე, აგრეთვე საზოგადოების ხელმძღვანელ და სარევიზიო ორგანოებში;

ბ) მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების მიერ მოწყობილ შეჯიბრებებში, ლაშქრობებში, მოგზაურობებში, რალებში, შეკრებებში, კონკურსებში, გამოფენებსა და სხვა ღონისძიებებში:

გ) მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების მიერ შექმნილი სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს, სექციების, კომისიების მუშაობაში; გამოაქვეყნონ საზოგადოების გამოცემებში ნამუშევრები, რომლებიც შეესაბამება საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს;

დ) ისწავლონ მძღოლთა, სპორტული და ტურისტული ოსტატობის ამაღლების სემინარებზე.

12. ნებაყოფლობთი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ კოლექტიურ წევრებს უფლება აქვთ:

ა) მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების ადგილობრივ ორგანიზაციათა საქმიანობის საკითხების განხილვა-გადაწყვეტაში, შეიტანონ თავიანთი წინადადებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ საზოგადოების მიერ თავისი ამოცანების შესრულებას;

ბ) წარუდგინონ საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოებს შუამდგომლობანი მიღწეული წარმატებებისათვის საზოგადოების ორგანიზაციების წევრთა წახალისების შესახებ;

გ) მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების მიერ მოწყობილ კონკურსებში, დათვალიერებებში, გამოფენებში, შეჯიბრებებსა და სხვა მასობრივ ღონისძიებებში;

დ) გაგზავნონ თავიანთი მუშაკები საზოგადოების წევრებისათვის მოწყობილ კურსებსა და სემინარებზე სასწავლებლად.

13. ნებაყოფლობითი საზოგადოების „საქავტომოტომოყვარულის“ კოლექტიური წევრები მოვალენი არიან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შეასრულონ საზოგადოების წესდების მოთხოვნები და აქტიურად მონაწილეობა უწყონ ხელი მის განხორციელებას;

— მიიზიდონ საზოგადოების წევრებად თავიანთ საწარმოთა, ორგანიზაციათა მუშაკები, კოლმეურნეობათა წევრები, უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები.

14. ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრებს საზოგადოების წინაშე დასახული ამოცანების შესრულებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის შეიძლება მიენიჭოთ წოდება „საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების საპატიო წევრი“ საზოგადოების საპატიო წიგნში შეტანით და შესაბამისი მოწმობის გაცემით.

საზოგადოების საპატიო წევრის წოდებას ანიჭებს საზოგადოების ცენტრალური საბჭო.

15. ავტომოტომოყვარულთა საზოგადოების რაიონული (საქალაქო და სასოფლო რაიონების) საბჭოები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების მუშაობის წლიური გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით, არ დაუშვებენ ავტოსატრანსპორტო საშუალებების ინდივიდუალურ მფლობელთა მიზეზით ჩადენილი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობის და სიმძიმის ზრდას წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით, დაჯილდოვდებიან ფულადი პრემიით, ხოლო საზოგადოების შესაბამისი ორგანიზაციები — საზოგადოების ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშებით.

თუ საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები, რომლებშიც გაერთიანებულია 15 ავტომოტომფლობელი მაინც მთლიანად შეასრულებენ წლიურ საგეგმო დავალებებს, ხოლო წევრებს გასულ წელს არ ექნებათ ჩადენილი არც ერთი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა და საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა, მათი თავმჯდომარეები დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრით და საზოგადოების ცენტრალური საბჭოს საპატიო სიგელით.

საზოგადოებაში აქტიური მონაწილეობისათვის გასულ წელს საგზაო-მოძრაობის წესების უმწიკვლოდ შესრულებისა და მუშაობაში მოპოვებული წარმატებებისათვის საზოგადოების წევრები დაჯილდოვდებიან საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით და წარჩინებული ავტომოტომოყვარულის სამკერდე ნიშნით.

16. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ წესდების დარღვევისათვის საზოგადოების წევრთა მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს დისციპლინური სასჯელი და საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები, მათ შორის საზოგადოებიდან გარიცხვა.

საზოგადოების წევრები, რომლებსაც არასაპატიო მიზეზით არ გადაუხდიათ საწევრო გადასახადი ერთი წლის განმავლობაში, საზოგადოებიდან გასულად ითვლებიან.

გადაწყვეტილებას საზოგადოებიდან გარიცხვის შესახებ იღებენ საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები, ხოლო კოლექტიური წევრების გარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხვის შესახებ — საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო (აო), საქალაქო და რაიონული საბჭოს პრეზიდიუმი. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საზოგადოების ზემდგომ ხელმძღვანელ ორგანოებში, მათ შორის საზოგადოების ყრილობაზე.

IV. საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების სტრუქტურა

17. დამფუძნებელი კრებების (კონფერენციების) გადაწყვეტილებებით ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ ადგილობრივი ორგანიზაციები იქმნება:

ა) აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში — რესპუბლიკური (ასსრ), საქალაქო (სოხუმი, გაგრა, ტყვარჩელი, ბათუმი) და რაიონული ორგანიზაციები;

ბ) სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — საოლქო, საქალაქო (ცხინვალი) და რაიონული ორგანიზაციები;

გ) ქ. თბილისში, გორში, ქუთაისში, ფოთში, რუსთავში, ტყიბულში, წყალტუბოში, ზუგდიდსა და ჭიათურაში — საქალაქო ორგანიზაციები;

დ) ქ. თბილისისა და ქუთაისის საქალაქო რაიონებსა და რესპუბლიკური დაქვემდებარების სასოფლო რაიონებში — რაიონული ორგანიზაციები;

ე) მუშათა დაბებში — სადაბო ორგანიზაციები.

18. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ საფუძველია პირველადი ორგანიზაციები; მათ შეადგენენ საზოგადოების წევრები, რომლებიც მუშაობენ ერთ საწარმოში, დაწესებულებაში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სწავლობენ ერთ სასწავლებელში ან ცხოვრობენ ერთ სასოფლო დასახლებულ პუნქტში, ერთი საბინაო-საექსპლუატაციო კანტორის სახლებში, აგრეთვე საზოგადოების წევრები, რომლებიც თავიანთ მანქანებს ინახავენ ერთ საავტომობილო სადგომზე (გარაჟში).

V. საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ხელმძღვანელობისა და კონტროლის ორგანოები

19. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ უმაღლესი ორგანოა საზოგადოების ყრილობა, რომელსაც იწვევს საზოგადოების ცენტრალური საბჭო 5 წელიწადში ერთხელ მაინც.

საზოგადოების რიგგარეშე ყრილობები შეიძლება მოწვეულ იქნეს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს ინიციატივით ან საზოგადოების საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით.

20. ყრილობის მოწვევის დროს წარმომადგენლობის ნორმებსა და დღის წესრიგს საზოგადოების ცენტრალური საბჭო აცხადებს ყრილობამდე ორი თვით ადრე მაინც.

საზოგადოების ყრილობა უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება არჩეულ დელეგატთა ორი მესამედი მაინც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. საზოგადოების ყრილობის დელეგატებს ირჩევენ რესპუბლიკური (აფხაზეთისა და აჭარის ასსრ), საოლქო (სამხრეთ ოსეთის აო) და საქალაქო (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი, ჭიათურა, ტყიბული, გორი და ზუგდიდი) და რესპუბლიკური დაქვემდებარების (საქართველოს სსრ) სასოფლო რაიონების კონფერენციებზე.

ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის" ცენტრალური საბჭოსა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, რომლებიც არჩეული არ არიან ყრილობის დელეგატებად, მის მუშაობაში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.

22. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის" ყრილობა:

ა) ისმენს საზოგადოების ცენტრალური საბჭოსა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშებსა და იღებს გადაწყვეტილებებს მათ გამო;

ბ) განიხილავს და ღებულობს საზოგადოების წესდებას, ცვლილებებსა და დამატებებს მასში;

გ) განსაზღვრავს საზოგადოების მორიგ ამოცანებს;

დ) ირჩევს საზოგადოების ცენტრალურ საბჭოსა და ცენტრალურ სარევიზიო კომისიას, არჩევნები ეწყობა ღია კენჭისყრით: არჩეულად ითვლებიან პირები, რომლებმაც მიიღეს კენჭისყრაში მონაწილე დელეგატთა ხმების ნახევარზე მეტი;

ე) განიხილავს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მიერ გამოტანილ საკითხებს.

23. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის" ხელმძღვანელი ორგანო ყრილობებს შორის პერიოდში არის საზოგადოების ცენტრალური საბჭო. საზოგადოების ცენტრალურ საბჭოსა და ცენტრალურ სარევიზიო კომისიას ირჩევენ 5 წლის ვადით ყრილობის მიერ განსაზღვრული შემადგენლობით.

24. ყველა საკითხი დამფუძნებელ კრებებზე, ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის" ყრილობის სხდომებზე, საზოგადოების საბჭოების პლენუმებზე წყდება ხმის უბრალო უმრავლესობით.

25. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის" ცენტრალური საბჭოს პლენუმს იწვევს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი წელიწადში ორჯერ მაინც.

საზოგადოების ცენტრალური საბჭოს რიგგარეშე პლენუმები მოიწვევა საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ან საზოგადოების ცენტრალური საბჭოს წევრთა არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნით.

26. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის" ცენტრალური საბჭო:

ა) თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს, რომელშიც შედიან: საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, პრეზიდიუმის წევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რები საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მიერ განსაზღვრული რაოდენობით და პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივანი.

ბ) ამტკიცებს საზოგადოების სამუშაო გეგმებს და კონტროლს უწევს მათ შესრულებას;

გ) განიხილავს და ამტკიცებს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის ხარჯთაღრიცხვებს, ანგარიშებს, საზოგადოების ორგანიზაციათა წინადადებებს;

დ) იწვევს საზოგადოების ყრილობას და ამზადებს მისთვის მოხსენებებს, ანგარიშებს, დადგენილებათა პროექტებსა და სხვა მასალას;

ე) განიხილავს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის მიერ შეტანილ სხვა საკითხებს.

27. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ ცენტრალური საბჭოს პლენუმებზე ყველა საკითხი წყდება ხმის უბრალო უმრავლესობით, ცენტრალური საბჭოს პლენუმი მოიწვევა წელიწადში ორჯერ მაინც.

28. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელი ორგანოა მისი პრეზიდიუმი; ცენტრალური საბჭოს პლენუმებს შორის პერიოდში პრეზიდიუმი საზოგადოების ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს.

29. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი:

ა) შეიმუშავებს ყოველწლიურ სამუშაო გეგმებს; ადგენს საზოგადოების ხარჯთაღრიცხვებსა და ანგარიშებს;

ბ) ახორციელებს ყველა სამუშაოს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად;

გ) ხელმძღვანელობს საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების მუშაობას;

დ) ქმნის საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმთან სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოს, სექციებსა და სხვა სტრუქტურულ ორგანოებს და ხელმძღვანელობს მათს საქმიანობას.

ე) ამტკიცებს ცენტრალური საბჭოს დაქვემდებარებული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დებულებას;

ვ) აწყობს დადგენილი წესით თათბირებს, კონფერენციებს, ექსკურსიებს და ახორციელებს საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებებს;

ზ) ხელმძღვანელობს საზოგადოების ორგანიზაციულ-მასობრივ და სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას;

თ) გამოსცემს ლიტერატურას საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, აძლევს საზოგადოების ადგილობრივ ორგანიზაციებს ნებართვას შესაბამისი ლიტერატურის გამოსაცემად; საგამომცემლო საქმიანობის ორგანიზაციისათვის საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი ქმნის პრეზიდიუმის სამუშაო ორგანოს — სარედაქციო საგამომცემლო საბჭოს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი) ხელმძღვანელობს საზოგადოების ადმინისტრაციულ-სამეურნეო და საფინანსო საქმიანობას;

კ) უმტკიცებს საზოგადოების რესპუბლიკურ (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების რაიონულ ორგანიზაციებს შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებს, შრომის გეგმებს და განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის ლიმიტს საზოგადოებისათვის დაწესებული შრომის გეგმის ფარგლებში;

ლ) საზოგადოების სახელით აწარმოებს აქტებს, დებს ხელშეკრულებებს, გასცემს ვალდებულებებსა და მინდობილობებს, ხსნის და ხურავს ანგარიშებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის შესაბამის დაწესებულებებში და განაგებს საზოგადოების ქონებას კანონმდებლობით და ამ წესდებით დაწესებულ ფარგლებში;

მ) წარმომადგენლობს საზოგადოების სახელით ადმინისტრაციულ, სასამართლო, საარბიტრაჟო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში;

ნ) იწვევს საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პლენუმებს და ამზადებს მოხსენებებს, ანგარიშებსა და სხვა მასალებს სხდომებისათვის;

ო) ამტკიცებს საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციებისათვის ბეჭდის ერთიან ნიმუშებს, საწევრო ბილეთებს, საწევრო შენატანების გადახდის დამადასტურებელ ჩანართ ფურცლებს, უზრუნველყოფს მათ დამზადებასა და დაგზავნას ცენტრალიზებული წესით.

პ) ახორციელებს შინასაუწყებო რევიზიებს და ხელმძღვანელობს საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციების საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას;

ჟ) აწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას საზოგადოების ორგანიზაციათა კოლექტივებს შორის საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად, ამტკიცებს შეჯიბრების პირობებს, აწესებს გარდამავალ წითელ დროშებს და ფულად ჯილდოებს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის, გარდამავალი წითელის დროშების რაოდენობას, ფულადი ჯილდოების ოდენობასა და მათი გადაცემის წესებს ავტოტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკთა რესპუბლიკურ კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით;

რ) აწესებს იმ პირთა ნუსხას, რომლებიც სარგებლობენ კრედიტის განმკარგულებლის, ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა დადების, საზოგადოების აპარატის მუშაკთა მიღებისა და დათხოვნის უფლებით;

ს) წყვეტს საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, მართავს პრეზიდიუმის სხდომებს კვარტალში ერთხელ მაინც;

30. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ ცენტრალური სარევიზიო კომისია:

ა) აირჩევა ყრილობის მიერ საზოგადოების იმ წევრთაგან, რომლებიც არ შედიან საზოგადოების ცენტრალურ საბჭოში და ანგარიშს აბარებენ ყრილობას; საზოგადოების სარევიზიო კომისიის წევრებს არ შეიძლება ეკავოთ საშტატო თანამდებობანი საზოგადოების აპარატში;

32. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების, რაიონებისა და დაბების ორგანიზაციების კონფერენცია, საბჭო, საბჭოს პრეზიდიუმი და სარევიზიო კომისია თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ იმ წესის მიხედვით, რომელსაც ითვალისწინებს ეს წესდება საზოგადოების ყრილობისათვის, ცენტრალური საბჭოსათვის, ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიისათვის.

33. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საავტომოტომოყვარულის“ პირველადი ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა საზოგადოების წევრთა საერთო კრება. კრება უფლებამოსილად ითვლება, თუ მას ესწრება საზოგადოების წევრთა ნახევარზე მეტი.

პირველადი ორგანიზაციების საერთო კრებების მოწვევის ვადები განისაზღვრება ამ ორგანიზაციების სამუშაო გეგმებით.

34. საზოგადოების წინაშე დასახული პრაქტიკული ამოცანების შესასრულებლად საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები, რომლებშიც 15 და მეტი წევრია, საერთო კრებებზე ორი წლის ვადით ირჩევენ საბჭოებს კრების მიერ განსაზღვრულ წევრთა რაოდენობით.

საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილესა და ხაზინადარს ორგანიზაციებში, რომლებიც 15 წევრზე ნაკლებს ითვლიან, მიმდინარე მუშაობის შესასრულებლად ირჩევენ პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარესა და ხაზინადარს.

35. დიდ პირველადს ორგანიზაციებში შეიძლება შეიქმნას საზოგადოების ძირეული ორგანიზაციები საწარმოს საამქროებსა და ცვლებში, კოლმეურნეობის ბრიგადებში, საბჭოთა მეურნეობის განყოფილებებში, დასახლებულ პუნქტებში, დაწესებულებათა განყოფილებებში სასწავლებლის ფაკულტეტებზე, საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების უბნებში.

36. საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები თავიანთ მუშაობას წარმართავენ ამ წესდების შესაბამისად და საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების დებულების, აგრეთვე საზოგადოების წევრთა ინიციატივისა და თვითმოქმედების საფუძველზე.

37. საზოგადოების პირველადი ორგანიზაციები:

ა) ეწევიან საზოგადოების წევრთა აღრიცხვას;

ბ) განუმარტავენ მოსახლეობას საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს;

გ) აწყობენ და ატარებენ საზოგადოების წევრთა შორის და მოსახლეობაში ლექციებს, მოხსენებებს, საუბრებს მოძრაობის უსაფრთხოების, საავტომობილო და სამოტოციკლო ტურიზმისა და სპორტის საკითხებზე;

დ) ქმნიან და აწყობენ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კაბინეტებსა და კუთხეებს, წრეებს, ავტომობილების, მოტოციკლების წვრილმანი რემონტისა და რეცხვის პუნქტებს. საავტომობილო სადგომებს და ხელმძღვანელობენ მათს მუშაობას;

ე) ხელს უწყობენ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ადმი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისტრაციას შეასწავლოს მუშებს, მოსამსახურეებსა და მოსახლეობას მოძრაობის უსაფრთხოების წესები;

ვ) ხელს უწყობენ სახელმწიფო ორგანიზაციებს დროულად მიიღონ საზოგადოების წევრთაგან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები და გამოსაღებები;

ზ) ხელს უწყობენ საზოგადოების წევრთა პირად სარგებლობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების ნებაყოფლობით დაზღვევას.

38. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების— თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, ჭიათურის, ტყიბულის, წყალტუბოს, გორის, ზუგდიდისა და რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების სასოფლო რაიონების ორგანიზაციები მუშაობენ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით.

39. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ორგანიზაციები მუშაობენ საზოგადოების შესაბამისი ზემდგომი ორგანიზაციის საბჭოს პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით.

40. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ პირველადი ორგანიზაციები მუშაობენ საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციების საბჭოების პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით და თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობას წარმართავენ საზოგადოების წინაშე დასახული ამოცანების შესასრულებლად.

41. ფულადი დოკუმენტების ხელმოწერის წესს ადგენს ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი.

VI. საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების საბჭოებთან არსებული სექციები

42. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ ცენტრალურ რესპუბლიკურ, საოლქო და საქალაქო (თბილისი, ქუთაისი) საბჭოებთან შეიძლება შეიქმნეს სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, ხოლო ყველა სხვა საბჭოსთან (რაიონულის ჩათვლით) — ორგანიზაციული და სასწავლო მუშაობის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების, ბავშვთა შორის მუშაობის, სპორტულ-ტურისტული, მოდელიზმისა და სხვა სექციები.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოსა და სექციების მუშაობის წესი განისაზღვრება საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული აღნიშნული საბჭოსა და სექციების დებულებებით.

VII. საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების სახსრები

43. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ ფულად სახსრებს შეადგენს:

ა) საზოგადოების შესასვლელი და ყოველწლიური საწევრო შენატანები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საზოგადოების სამეურნეო და საგამომცემლო საქმიანობის შემოსავალი;

გ) ნებაყოფლობითი შენატანები და სხვა შემოსავალი.

44. შესასვლელი შენატანი საზოგადოების წევრთათვის წესდება 1 მანეთის ოდენობით საწევრო ბილეთის ღირებულების ჩათვლით. ყოველწლიური საწევრო შენატანები წესდება შემდეგი ოდენობით:

ა) საზოგადოების წევრთათვის:

— ავტომობილის მფლობელთათვის — 5 მანეთი;

— მოტოციკლისა და მოტოროლერის მფლობელთათვის — 3 მანეთი;

— იმათთვის, ვისაც არა აქვს პირად სარგებლობაში სატრანსპორტო საშუალებანი — 1 მანეთი;

— საწევრო შენატანს იხდიან წელიწადში ერთხელ;

— შესასვლელი და საწევრო გადასახადები ბილეთებში აღინიშნება მარკებით.

45. საზოგადოების პირველად ორგანიზაციებთან არსებული ჭაბუკთა და ქალიშვილთა სექციების წევრები იხდიან მხოლოდ ყოველწლიურ საწევრო შენატანს 30 კაპიკს.

46. შესასვლელი და საწევრო შენატანების გადახდისაგან თავისუფლდებიან საზოგადოების წევრი ინვალიდები, რომლებმაც სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს გადაწყვეტილებით უფასოდ მიიღეს პირად სარგებლობაში ავტომობილი ან მოტოეტლი.

47. საზოგადოების საბჭოს დადგენილებით პრეზიდიუმს შეუძლია შექმნას სპეციალური ფონდები, რომლებიც იხარჯება საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული ამოცანების შესაბამისი მიზნებისათვის. სპეციალური ფონდების შექმნისა და ხარჯვის წესს ამტკიცებს საზოგადოების ცენტრალური საბჭო. საზოგადოების საწარმოები და ორგანიზაციები ბიუჯეტში შესატან საშემოსავლო გადასახადს გამოიანგარიშებენ საბალანსო მოგების თანხის დაწესებული განაკვეთების მიხედვით.

საწარმოო საქმიანობისაგან მიღებულ მოგებას, რომელიც რჩება საშემოსავლო გადასახადის შემდეგ, და სხვა წყაროებიდან შემოსულ სახსრებს ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარული“ და მისი ადგილობრივი ორგანიზაციები ხარჯავენ საზოგადოების მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე ღონისძიებათა განსახორციელებლად გეგმითა და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული წესით.

48. დიდ ღონისძიებათა დაფინანსების მიზნით საზოგადოების ცენტრალურ საბჭოს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის საბჭოებს შეუძლიათ თავიანთ განკარგულებაში თავი მოუყარონ საქვეუწყებო საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრების ნაწილს. ამ ანარიცხების ოდენობასა და მათი გამოყენების წესს საზოგადოების ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით განსაზღვრავს შესაბამისი კონფერენცია ან საზოგადოების საბჭოს პლენუმი.

49. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ ცენტრალური საბჭოსა და ადგილობრივი ორგანიზაციების მთელი თავისუფალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფულადი სახსრები ინახება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის, სსრ კავშირის მშენბანკის ან შემნახველი სალაროების ადგილობრივ განყოფილებებში.

VIII. საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების აღრიცხვა და ანგარიშგება

50. საბუღალტრო აღრიცხვა ხორციელდება სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებსა და ორგანიზაციებში საბუღალტრო ანგარიშებისა და ბალანსების შესახებ მოქმედი დებულების შესაბამისად.

საბუღალტრო ანგარიშებსა და ბალანსებს დადგენილი წესით წარუდგენენ: ქალაქებისა და რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო (აო) დაქვემდებარების რაიონების, აგრეთვე ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის საქალაქო რაიონების საბჭოების პრეზიდიუმები — საზოგადოების ზემდგომი შესაბამისი საბჭოს პრეზიდიუმს, ხოლო აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქ. თბილისისა და ქუთაისის, რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების საბჭოების პრეზიდიუმები — საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმს.

51. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ შეჯამებულ წლიურ საბუღალტრო ანგარიშსა და ბალანსს ამტკიცებს საზოგადოების ცენტრალური საბჭო.

IX. საქართველოს სსრ ავტომოტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ლიკვიდაციის წესი

52. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარული“ წყვეტს თავის საქმიანობას:

— საზოგადოების ყრილობის დადგენილებით;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

53. ნებაყოფლობითი საზოგადოება „საქავტომოტომოყვარულის“ ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი მთელი ქონება გამოიყენება კანონით დადგენილი წესით.

---

82 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 16 აგვისტოს № 531 დადგენილებაში ნაწილობრივი ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თხოვნა, შეთანხმებული საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირთან, და გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 16 აგვისტოს № 531 დადგენილების № 3 დანართით საქართველოს მონადირეთა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეთევზეთა კავშირისათვის მიკუთვნებული „მარტოწყლის“ წყალსაცავი ფონის მეთევზეთა კოლმეურნეობას სატბორე თევზის მეურნეობის მოსაწყობად. ამის შესაბამისად შეიცვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის № 531 დადგენილების № 3 დანართის 37-ე პუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ.თბილისი, 1982 წ. 27 დეკემბერი, № 829.

83 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 7 ივნისის № 501 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 27 სექტემბრის № 620 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„წიაღის შესახებ სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთ გადაწყვეტილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 7 ივნისის № 501 დადგენილების შესაბამისადსაქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 27 სექტემბრის № 620 დადგენილება „გეოლოგიურ1საძიებო სამუშაოთა ზედნადები ხარჯების ნორმების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 27 დეკემბერი, № 830

ეროვნული ბიბლიოთეკა

84 საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მავნებელ მტაცებელ ნადირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ

მხედველობაში იღებს რა იმ ღონისძიებათა დაბალ ეფექტიანობას, რაც დღემდე ხორციელდებოდა მავნებელ მტაცებელ ნადირთა, განსაკუთრებით მგელთა მოსასპობად, რომლებიც დიდ ზარალს აყენებენ მეცხოველეობას, აგრეთვე საქართველოს ძვირფას სამონადირეო-სარეწაო ფაუნას, და მავნებელ მტაცებელ ნადირთა მოსასპობად უფრო ქმედითი მასტიმულირებელი პირობების შექმნის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს 1982 წლის 20 დეკემბრიდან მავნებელ მტაცებელ ნადირთა მოსპობისათვის შემდეგი ტყავცალობითი პრემიები, მიუხედავად მათი სქესისა და ასაკისა: მგელზე — 100 მანეთი, გარეულ კატაზე — 10 მანეთი, მელიაზე — 10 მანეთი.

2. აღნიშნული ტყავცალობითი პრემიები მიეცეთ ტყავის ჩამბარებელ მონადირეებს მთლიანად, ამ თანხებიდან ყოველგვარი დაქვითვის გარეშე.

3. პრემირების ხარჯები გაწეულ იქნეს ქონების სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევის სადაზღვევო გადასახდელთა 8-პროცენტიანი ანარიცხებიდან, რომლებიც გამოყოფილია ხანძრისა და პირუტყვის დაღუპვის თავიდან აცილების ღონისძიებებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1982 წ. 17 დეკემბერი, № 842.

ИНДЕКСИ—76187

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 6, 1982 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/III-83 წ. ქაღალდის ზომა 20×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 3,5 სააღრიცხვო თაბახი 3,5

შეკვეთა № 116 უე 08048 ტირაჟი 1580

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა.

6 19/77

ეროვნული
ბიბლიოთეკა